# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 1 აპრილი 2004 №72 (2091) ფასი 50 თეთრი

# ხაზეინ, რემონტი არ გინდა?






საქართველოში ჩამოსული ქირესის პირველი ზაფრა ქართველების ნელი თამაში იყო. **ბურთმა წინ და სწრაფად უნდა იგოროს!** თქვა აშკარად შემცბარმა ფრანგმა და, უეჭველია, ეს საფეხბურთო ორკჯერორი მისი მთავარი სანაკრებო კრიტერიუმი იქნება. ასე რომ, ძნელი მისახვედრი არ არის: ფედერაციის მანჭაიმური ნაკრები და ქირესის მომავალი გუნდი ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავებული იქნება. **ველოდოთ სიახლეებს: ფრანგი ბევრ რამეს და ბევრ ვინმეს შეცვლის.**

## გასკომპანია გასტა

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

## ამხანაგური მატჩები

### მაკედონია 1:0 უკრაინა

1:0 სტავრევსკი (26)
უკრაინა: შოვკოვსკი, პარფიონოვი, ტიმოშჩუკი, ჩეჩერი, როტანი, სიმონენკო (მატიუხინი 46), რუსოლი, ნაზარენკო (კალინიჩენკო 81), გუსევი (რებროვი 46), შევჩენკო (კოსირინი 46), რიკუნი
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
მსაჯი: მილან კარაჯიჩი (სერბეთი)
16 000 მაყურებელი

### ხორვატია 2:2 თურქეთი

1:0 შოკოტა (2), 1:1 ზაფერი (73), 2:1 სრნა (76), 2:2 გაგდასი (78)
თურქეთი: რუშთუ, უმით ოზატი, ფათიჰი (ქენანი 46), იბრაჰიმი, თოლგა, სერქანი, დენიზი, თუნჯჩაი (ზაფერი 66), კარადენიზი (ბიულენთ ბოლიუქბაში 46), ჰაქან შუქური, ნიჰათი
მწვრთნელი: უნალ კარამანი
მსაჯი: ჟოაუ ფერეირა (პორტუგალია)
12 000 მაყურებელი

### ალბანეთი 2:1 ისლანდია

1:0 ალიაი (42), 1:1 გუდიონსენი (67), 2:1 ბუში (79)
10 000 მაყურებელი

### საბერძნეთი 1:0 შვეიცარია

1:0 ცარტასი (57)
საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი (ხალკიასი 46), სეიტარიდისი (პაპადოპულოსი 78), ფისასი (გუმასი 80), კაცურანისი, დელასი, კაპსისი, ზაგორაკისი, იანაკოპულოსი (ლაკისი 46), ხარისტიასი, ცარტასი (ბასინასი 67), ნიკოლაიდისი
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)
21 000 მაყურებელი

### ესპანეთი 2:0 დანია

1:0 მორიენტესი (23), 2:0 რაული (60)
დანია: სორენსენი (ს. ანდერსენი 46), პრისკე (კოლდინგი 67), ლაურსენი, ნ. იენსენი (როლლარსენი 83), ჰენრიკსენი (კროლდრუპი 72), დ. იენსენი, გრავესენი, კ. იენსენი (კალენბერგი 78), გრონკიაერი, იორგენსენი (კ. პერესი 46), პ. მადსენი (ტომასონი 46)
მწვრთნელი: მორტენ ოლესი
მსაჯი: ანტონიუ ალმეიდა კოშტა (პორტუგალია)
19 000 მაყურებელი

გერმანია 3:0 ბელგია
ირლანდია 2:1 ჩეხეთი
ჰოლანდია 0:0 საფრანგეთი
შვედეთი 1:0 ინგლისი
პორტუგალია 1:2 იტალია
მოლდოვა 2:1 აზერბაიჯანი
მალტა 1:2 ფინეთი
ბულგარეთი 2:2 რუსეთი
ესტონეთი 0:1 ჩრდ. ირლანდია
სერბეთი 0:1 ნორვეგია
სლოვენია 0:1 ლატვია
ლუქსემბურგი 1:2 ბოსნია
უნგრეთი 1:2 უელსი
სლოვაკეთი 1:1 ავსტრია
პოლონეთი 0:1 აშშ
შოტლანდია 1:2 რუმინეთი
ეგვიპტე 2:1 ტრინიდადი
მაროკო 3:1 ანგოლა
ტუნისი 0:2 კოტ დივუარი

### ახალგაზრდულები (U-21)

მაკედონია 1:0 უკრაინა
ბულგარეთი 0:0 რუსეთი
სლოვენია 1:0 ლატვია
სლოვაკეთი 0:0 ჩეხეთი
უნგრეთი 2:1 პოლონეთი
ხორვატია 0:0 თურქეთი
სერბეთი 2:3 ნორვეგია

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. მეორე ტური

**I ჯგუფი**
იორდანია 1:0 ყატარი
ლაოსი 0:7 ირანი

**II ჯგუფი**
პალესტინა 1:1 ერაყი
ტაივანი 0:1 უზბეკეთი

**III ჯგუფი**
ინდოეთი 1:5 ომანი
სინგაპური 1:2 იაპონია

**IV ჯგუფი**
მალაიზია 0:2 ქუვეითი
ჰონკონგი 0:1 ჩინეთი

**V ჯგუფი**
იემენი 0:3 ტაილანდი
ჩრდ. კორეა 0:0 საამიროები

**VI ჯგუფი**
ყირგიზეთი 1:1 სირია
ტაჯიკეთი 0:0 ბაჰრეინი

**VII ჯგუფი**
ვიეტნამი 0:2 ლიბანი
მალდივი 0:0 სამხ. კორეა

**VIII ჯგუფი**
თურქმენეთი 3:1 ინდონეზია
შრი ლანკა 0:1 საუდის არაბეთი

ფეხბურთი
ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
პირველი ლიგა
2 აპრილი
მეცხრამეტე ტური
ამერი — თსუ
თბილისი თბილისი
დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა

# ჩვენი გერმანელები ფრენენ, ბლოხინს ალბათ დაიფრენენ

**თურქეთი** საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქეა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევში. ოსმალოს ჩვენსავით პირველი მატჩი ჰქონდა ახალი მწვრთნელის ხელში და ჩვენსავით 2:2 ითამაშა გუშინდელ საუეფო ამხანაგურ დღეს. უნალ კარადენიზმა სადებიუტო თამაშში არ გარისკა, გამოცდილებსაც უხმო და ვფიქრობთ, სასურველი შედეგიც მოიმკა, რაკილა დებიუტშივე დაწინაურებულ ხორვატიას არ დანებდა და მეტოქის ორ გოლს ამდენივე შეაგება.

სკოპიეში გაბითურდა უკრაინა ძირთად შემადგენლობაგანახევრებულ მაკედონიასთან. პოსტსაბჭოელები მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ. ამ ამბავში მთავარი კი ის არის, რომ შესაძლოა, უკრაინას ახალი მწვრთნელი ჰყავდეს საქართველოსთან პირველი მატჩისთვის. საეჭვოა, მეტიც, კატასტროფულია ოლეგ ბლოხინის სანაკრებო შანსი. უკრაინელებს ლიბიასთან უსახური ფრეც არ ჰქონდათ მონელებული მაკედონიასთან მატჩამდე. მოკლედ, შესაძლოა, ბლოხინს კარისკენ მიუთითონ, მით უფრო, რომ მისი მორიგი ექსპერიმენტი გუშინ აშკარად ჩაფლავდა — შევჩენკო-რებროვიანმა უკრაინამ ერთობ უსახურად ითამაშა სკოპიეში და თუნდაც ქულასაც არ იმსახურებდა.

ბრავო ბრიგელს და მის არწივებს! ალბანელებმა მორიგი გამოცდა ჩააბარეს და ერთი თვის წინ დამარცხებულ შვედეთს გუშინ კიდევ ერთი სკანდინავიური ნაკრები მიაყოლეს. ისლანდიელებმა ტირანაში ტრავმამოუშუშებელი ეიდურ გუდიონსენიც ათამაშეს, თუმც ჩელსელის გოლი ვერ შეირგეს — ანგარიშის გამთანაბრებელ ისლანდიას მატჩის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ალბან ბუშიმ გამარჯვებისა ჰკრა.

წარმატებული სერია უპრობლემოდ გააგრძელა ქართველთა კიდევ ერთმა მომავალმა მეტოქე საბერძნეთმა. ჯადო კაცის, ოტო რეჰაგელის დამოძღვრილმა ბერძნებმა შვეიცარია დაამარცხეს. მოკრძალებულმა შედეგმა არ მოგატყუოთ — ელინებს დიდი უპირატესობა და ბევრი საგოლე შანსი ჰქონდათ.

საფუძვლიანი გამოდგა ხიხონში ჩასული მორტენ ოლსენის შიში — ესპანეთი მართლაც ტოპკლასის გუნდად გამოჩნდა დანიასთან. ვიკინგებმა ვერაფერი მოუხერხეს პირინეელებს. ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა მორიენტესმა და რაულმა ორი უპასუხო გოლი გაუტანეს ოლსენის დამოძღვრილებს.

გუშინდელ საამხანაგო დღეს ორი გამორჩეული ამბავიც მოხდა, ორივე ერთმანეთისგან საპირისპიროდ განსხვავებული. როგორც იქნა, წააგო ჩეხეთმა და ორწლიანი შესვენების შემდეგ მოიგო ჩრდილოეთ ირლანდიამ. შევნიშნოთ, რომ კუნძულელებმა ასევე ორწლიანი მშრალი საგოლე სერიაც შეწყვიტეს.

არცთუ მცირე ხნის ტრადიცია შეწყვიტა ინგლისმა; სტივენ ჯერარდს აქამდე 21 სანაკრებო კეპი მოეხვეჭა და როცა კი მოედანზე ყოფილა, მისი ქვეყნის გუნდს არასდროს წაეგო. დახეთ ბედის სიმუხთლეს — ჯერარდი გუშინ შვედეთთან ინგლისს კაპიტნობდა.

**პაატა ქვანტალიანი**




REUTERS სკოპიედან

ანდრეი შევჩენკომ და ოლეგ ბლოხინმა მაკედონიელებთან ცხვირ-პირი წაიტეხეს



არწივების საბუდარში სიხარულია: ალბანეთმა ისლანდიასაც მოუგო

| ინგლისი | შვეიცარია | თურქეთი |
|---|---|---|
| მესამე დივიზიონი გადადებული მატჩი | ჩელენჯლიგა გადადებული მატჩი | სუპერლიგა გადადებული მატჩი |
| ბოსტონი 1:2 ჰალი | შაფჰაუზენი 2:0 დელემონი | ადანა 2:2 გენჩლერი |

| შოტლანდია | იტალია | დანია |
|---|---|---|
| მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი | სერია C/B გადად. მატჩები | პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი |
| ერდრი 2:1 ისტ ფაიფი | კატანძარო 2:0 პატერნო | ფრედერისია 0:1 სილკებორგი |
| | მარტინა 1:0 აკილა | |



# მანჰაიმი ტელევიზორიდან და სამზარეულოდან



*მაშ ასე, ალენ ჟირესის ხელში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველი მატჩი ითამაშა. გუნდს აკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, რომელთაც მანჰაიმურ პერიპეტიებს ტელევიზიით უყურეს...*

***ლევან კობიაშვილი:*** ჩვენი ნაკრების თამაშის ხარისხით დიდად კმაყოფილი ვერ ვიქნები, მაგარამ კარგია, რომ არ წავაგეთ. გუნდმა ახალი მწვრთნელის ხელში პირველად ითამაშა და საკმაოდ ნორმალურადაც.

— **გერმანელები იუწყებიან, რომ მატჩი მათი ახალგაზრდების უპირატესობით მიმდინარეობდა...**

— შეხვედრა მართლაც მეტოქის უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ, გერმანელებმა შტურმი მოგვიწყესო, მსგავსი არაფერი მომხდარა, თუმც გოლების გარდა კიდევ ორი კარგი მომენტი ჰქონდათ. ჩვენმა ნაკრებმა კი მეორე ტაიმი პირველზე უკეთ ითამაშა და საერთოდ, საქართველოს ნაკრების თამაში ამ მატჩში დადებითად უნდა შეფასდეს — აქამდე არ მომხდარა, რომ ჩვენს ნაკრებს მატჩის განმავლობაში ორჯერ გაეთანაბრებინოს ანგარიში. რაც მთავარია, საქართველოს ნაკრებს სპეციალისტის ხელი ეტყობოდა.

— **გერანელების თქმით, სისწრაფეში უპირატესობაც მათი იყო...**

— გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს კი ვეთამაშეთ, მაგრამ მათი ფეხბურთელები თავიანთი კლუბების ძირითადში თამაშობენ. ხოლო ჩვენი ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა აკლდა, ზოგიერთი მათგანისთვის კი სეზონი ახალი დაწყებულია — გერმანელებს მართლაც ჰქონდათ უპირატესობა სისწრაფეში.

— **ბასტიან შვაინსტაიგერზე რას იტყოდი, ვისზეც ახლა ბევრს ლაპარაკობენ?**

— მთლიანობაში ძალიან მომწონს გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები, ის მართლაც სერიოზული გუნდია, რომლის ფეხბურთელები უფრო სახელოვან კლუბებში თამაშობენ, ვიდრე ჩვენი ის ნაკრებელები, მათ რომ ეთამაშნენ.

— **ტრავმას როდისღა მოიშუშებ?**

— უკეთესად ვარ, აღარ ვკოჭლობ, იქნებ ბუნდესლიგის დამდეგ ტურში კიდეც ვითამაშო.

***შოთა არველაძე:*** საქართველოს ნაკრებისთვის ეს მძიმე მატჩი იყო, ჩვენებს გაუჭირდათ თამაშის აწყობა. გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებზე კი იმას ვიტყვი, რომ არ ველოდი, თუ ასეთი კარგი გუნდი იქნებოდა — გერმანელები ძალიან კარგად კითხულობდნენ თამაშს და სწორად მოძრაობდნენ.

— **ალენ ჟირესის ხელში საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი ჩაატარა, მაგრამ მაინც — ეტყობოდა სპეციალისტის ხელი გუნდს?**

— ჟირესი იძულებული იყო, სამი მცველით ეთამაშა, თანაც შეზღუდული იყო შეცვლებითაც — მწვრთნელს ხომ მხოლოდ 14 ფეხბურთელი შერჩა. მანჰაიმური მატჩი უფრო გაცნობითი თამაში იყო ჩვენი ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმში შედარებით უკეთ ვითამაშეთ.

— **ჩვენი ნაკრებიდან ვის გამოარჩევდი?**

— გიორგი ლომაიას და ოთარ ხიზანეიშვილს, კარგად ჩაერთო თამაშში რატი ალექსიძე.

— **გერმანელებიდან ყველაზე უფრო ვინ მოგეწონა?**

— მთლიანად გუნდი მომეწონა ძალიან — მათ ფეხბურთელებს სულაც არ ეტყობოდათ, რომ ახალგაზრდულ ნაკრებს წარმოადგენდნენ.

— **ნაკრებელ თანაგუნდელებს ალბათ უკვე ელაპარაკე — იქნებ ცოტა რამ მაინც გაგვიმხილო შიდა სამზარეულოდან.**

— ჟირესით ყველა კმაყოფილია — ახალმა მწვრთნელმა ეს პირადი ურთიერთობებით, ვარჯიშებით და თეორიული მეცადინეობებით დაიმსახურა.

**დავით თავართქილაძე**

# მწვრთნელის ზომა და წონა შესვენებაა

**ალენ ჟირესი** ის კაცია, ქართველების რომ უკვირს. ზოგადად, ჩვენი ბევრი რამ გაჰკვირვებიათ უცხოელებს, მაგრამ ჟირესი რიგითი უცხოელი არაა და რიგითი რამეები არ უკვირს.

მაგალითად, ჟირესს უკვირს, თუ რატომ რეკავს ერთი და იგივე ჟურნალისტი გია გურულთან დღეში ხუთჯერ. ფრანგი კითხულობს — შაბათ-კვირას მაინც რა სჭირთ ამ ქართველებს, რატომ არ ისვენებენ და რატომ არ გვასვენებენ?

ფეხბურთი საქართველოში არავის ასვენებს და ცხოვლად ველოდით ჟირესის დებიუტს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. არ გვყავდა კახა კალაძე, შოთა არველაძე, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, მალხაზ ასათიანი — ისედაც ღარიბი რესურსების მქონე საქართველოს ნაკრებმა არ წააგო, ორჯერ აგებდა და ორჯერ გაათანაბრა — ჩავთვალოთ, რომ ჟირესმა თავი მოაბა მანჰაიმურ გაწამაწიას.

ისიც ვთქვათ, რომ ჩვენმა ნაკრებმა მეორე ტაიმში უკეთ ითამაშა, რაც შესვენებაზე მიღებული დავალებებიდანაც უნდა მოდიოდეს. ტაიმებს შორის ადრეც ულაპარაკიათ ჩვენს ფეხბურთელებთან, გაუმხნევებიათ ისინი და უთქვამთ, რომ თქვენ მთელი საქართველო გიყურებთ, ცოტა გაინძერით, ხალხიც აგყვებათ, მხარს დაგიჭერთ და ეგაა. კიდევ ის, რომ საქმეს არ უნდა ელალატოს და გამყინავი ფრაზა — ნემსო, არ მიღალატო!

გიორგი ნემსაძემ კი პირველი ნაკრებული გოლი გაიტანა და დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, რომ ეს მატჩი და აქ გატანილი ბურთები ფიფას სტატისტიკაში როგორ გატარდება — კაპიტანს ვეღარ ეტყვიან, რომ ნაკრებში გოლის სიხარული არ იცის.

ჟირესმა ინგლისური არ იცის, მაგრამ ენათა ცოდნის მიხედვით კაცის შეფასება ალბათ პროვინციალობაა და ჟირესიც არ ჰგავს ხეპრეს — გერმანელებთან ჩვენზე თქვა, სამხრეთელები არიან, თავისებური მენტალიტეტი აქვთ და ამაზე საფუძვლიანად უნდა წავიმუშავოო...

ჯორჯიან მენტალიტი დებილ — ჩვენზე თურმე ასეთიც უთქვამს ერთ უცხოელს, ვინც ქართველებს ერთი თამაშიც ვერ მოაგებინა, მაგრამ ჟირესი ამ საქმეში ჯერ უბრალოა — ჩია ფრანგი მხარზე ჩამოკიდებული ჩანთით დაიარება, მალე ტვირთი დაუმძიმდება და ვინძლო წონითი კატეგორიების ცნებაც თავდაყირა დააყენოს — პატარა და მუშაო, ხომ ვამბობთ. მოკლედ, იმედივით ნაპერწკალი გულში აღარ ეტევა...

მაშ, გაიწელება ჟირესი ჟირაფივით?

**დავით თავართქილაძე**



# საქართველო მწვრთნელების ქვეყანაა

**ალენ ჟირესი** მეთორმეტე კაცია, ვისაც საქართველოს ნაკრები გაუწვრთნია. სულ კი ჩვენს ეროვნულ გუნდს ოფიციალურად თუ არაოფიციალურად დღემდე თოთხმეტჯერ შესცვლია მწვრთნელი. თოთხმეტჯერ თოთხმეტ წელიწადში, ანუ თითოეულ მწვრთნელს გუნდთან საშუალოდ ერთი წელი უმუშავია, რაც, დაგვეთანხმებით, ძალიან მცირე მაჩვენებელია.

არაოფიციალურად ზოგი ერთ მატჩში ხელმძღვანელობდა გუნდს (გიგლა იმნაძე), ზოგი ორში (ვლადიმერ გუცაევი პირველ ცდაზე), ზოგიც სამში (გოჩა ტყებუჩავა). ერთი სიტყვით, თუ მხოლოდ ოფიციალურებს გავითვალისწინებთ, ალენ ჟირესი რიგით მეთერთმეტე მწვრთნელია საქართველოს ნაკრებისთვის.

თუმცა ამ წერილის დაწერა უფრო სხვა მიზანს ემსახურება. გვსურდა, თქვენთვის ყველა მწვრთნელის დებიუტი შეგვეხსენებინა და საამისოდ ცხრილსაც გთავაზობთ. საინტერესოა, რომ ყველაზე ხმაურიანი დებიუტი დავით ყიფიანს გამოუვიდა — 1997 წლის 30 მარტს „ეროვნულზე“ სომხეთის ნაკრებთან რეკორდული 7:0 ალბათ კარგა ხანს დარჩება მოუხსნელი.

თოთხმეტიდან ხუთჯერ საქართველოს ნაკრებში მისულ მწვრთნელებს მარცხიანი დებიუტი ჰქონდათ და მხოლოდ ორჯერ დაიწყო საქმე ფრით: 1990 წელს პირველი მწვრთნელის, გივი ნოდიას ხელში ჩვენები ლიტვას 2:2 დაუზავდნენ და გუშინწინ ალენ ჟირესის ქართული საქმეც ამავე ანგარიშით, გერმანელ 21-წლამდელებთან მშვიდობიანი გაყრით დაიწყო.

და კიდევ, ყველაზე რეზონანსული და მნიშვნელოვანი დებიუტის ავტორი — ხორვატმა ივო შუშაკმა შარშან თბილისში რუსები წაგვაქცევინა.

**კახა შალამბერიძე**

## სადებიუტო ვინ, როდის, როგორ

| |
|---|
| 27.05.90 |
| **გივი ნოდია** |
| საქართველო 2:2 ლიტვა |
| 02.07.91 |
| **ანატოლი ნორაკიძე** |
| მოლდოვა 2:4 საქართველო |
| 25.05.93 |
| **ალექსანდრე ჩივაძე** |
| აზერბაიჯანი 1:0 საქართველო |
| 05.12.96 |
| **ვლადიმერ გუცაევი** |
| ლიბანი 4:2 საქართველო |
| 30.03.97 |
| **დავით ყიფიანი** |
| საქართველო 7:0 სომხეთი |
| 06.02.98 |
| **ვლადიმერ გუცაევი** |
| საქართველო 2:1 ლატვია |
| 12.08.98 |
| **გიგლა იმნაძე** |
| აზერბაიჯანი 1:0 საქართველო |
| 30.05.99 |
| **იოჰან ბოსკამპი** |
| ნორვეგია 1:0 საქართველო |
| 02.02.00 |
| **დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი** |
| სლოვაკეთი 0:2 საქართველო |
| 15.07.01 |
| **ალექსანდრე ჩივაძე** |
| ლუქსემბურგი 0:3 საქართველო |
| 30.04.03 |
| **ივო შუშაკი** |
| საქართველო 1:0 რუსეთი |
| 04.09.03 |
| **მერაბ ჟორდანია** |
| საქართველო 3:0 ალბანეთი |
| 18.02.04 |
| **გოჩა ტყებუჩავა** |
| რუმინეთი 3:0 საქართველო |
| 30.03.04 |
| **ალენ ჟირესი** |
| გერმანია U21 2:2 საქართველო |

# დაინიშნა, დავარტყი, გავიტანე

## გოოოლ! გიორგი ნემსაძის პირველი

*გიორგი ნემსაძე, 69 მატჩი საქართველოს ნაკრებში, გოლი — 0. აქამდე ასეთი იყო გიორგი ნემსაძის მშრალი სანაკრებო სტატისტიკა. გიორგი ნემსაძე, 70 მატჩი საქართველოს ნაკრებში, გოლი — 1. ასეთია ახლა, ნაკრების უახლოეს მატჩამდე. გოოლ! — წარმოიდგინეთ, რა ბედნიერი იყო ეროვნული გუნდის კაპიტანი გუშინწინ, როცა გერმანელ ახალგაზრდებთან თავისი პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა*



1999 წელი. საქართველო—რუმინეთი. გიორგი ნემსაძის მორიგი ვერგატანილი: მის დარტყმულს იონ ფილიპესკუ გადაელობა

— სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავიო, ვერ ვიტყვი, მაგრამ გოლი რომ ძალიან გამიხარდა, ამას თქმა რად უნდა. რის ფეხბურთელი ხარ, თუ გოლზე არ ფიქრობ, მე კი, წარმოიდგინეთ, 14 წელი ნაკრებში ვარ და გუშინდლამდე სანაკრებო გოლის გემო არ ვიცოდი — გვითხრა მანჰაიმიდან გუშინ დაბრუნებულმა გიორგი ნემსაძემ — დასამალი რაა, ვნერვიულობდი და განვიცდიდი, ყოველი მატჩის მერე მოედანს რომ უგოლოდ ვტოვებდი. ერთგვარი კომპლექსიც კი გამიჩნდა, მეგონა, ნაკრებში გოლს ველარ გავიტანდი.

— აქამდე ნაკრებში თამაშისას პენალტი დაგირტყამს?

— არა, არ მახსოვს, რომ დამერტყა, გავიტანდი.

— გერმანელებთან პენალტის შესრულება მწვრთნელმა შენ დაგავალა?

— მწვრთნელმა 11-მეტრიანის გარდა ყველა სტანდარტულს თავისი პატრონი შეურჩია, პენალტზე თქვა, ფსიქოლოგიურად ვინც უკეთ იქნება მზად, მან დაარტყასო. მე კი ბიჭებისთვის წინადღით მქონდა ნათქვამი, პენალტი თუ დაინიშნა, დავარტყამ-მეთქი. დაინიშნა, დავარტყი და გავიტანე. ჩემი პირველი გოლი იყო, მატჩში კი ანგარიშის გამთანაბრებელი. ძალიან გამიხარდა.

— და აქამდე რა გიშლიდა ხელს, რომ გაგეტანა?

— ეგ რომ მცოდნოდა, ხომ აქამდეც გავიტანდი?! იღბალი, სხვა რა უნდა ვთქვა. ბევრი საგოლე მომენტი მქონია, მაგრამ რა ვიცი, ბურთი კარში არ შედიოდა. ხომ გითხარი, ამის გამო ერთგვარი კომპლექსიც კი ჩამომიყალიბდა.

— აბა, ახლა ეგ კომპლექსი მოგეხსნება...

— ალბათ, რაც მთავარია, ნავსი გატყდა.

— ბევრი მომენტიო, თქვი. გაიხსენე, მათგან ყველაზე რეალური რომელი იყო, რომლის ვერგატანამ დაგწყვიტა გული ყველაზე მეტად?

— გახსოვთ 1996 წელს პერუჯაში იტალიასთან მატჩი? მაშინ 0:0-ზე ტოლდომ საწაულად აილო ჩემი დარტყმული. კარგი მომენტი მქონდა პოლონეთთან თბილისური მატჩისას. მეკარესთან პირისპირ ვიყავი, დარტყმას კი პასის გაკეთება ვამჯობინე: მახსოვს საქართველო — რუმინეთის შეხვედრაც. მაშინაც 0:0 იყო, მარჯვნიდან რომ შევუტიე მეტოქეს, დარტყმული გოლი მეგონა, როცა ბურთს მცველი ფილიპესკუ გადაელობა. მოკლედ, ყოველი გაცუდებული მომენტი უარესად მაღიზიანებდა, ნერვები დაწყვეტაზე მქონდა.

— სამაგიეროდ, კლუბში თამაშისას გაქონდა და გაგაქვს...

— კი, მაგრამ კლუბი სხვაა, ნაკრები — სხვა, ნაკრებში გატანილს მართლაც სხვა გემო ჰქონია. ახლა თბილისშიც უნდა გავიტანო.

— ყველაზე მეტად რომელი საკლუბო გოლი გახსოვს?

— ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი იყო, როცა „არარატს" გავუტანე, პოდშივალოვი იდგა მაშინ კარში. იქამდე კი „დინამოს" დუბლებში ვთამაშობდი, როცა მოსკოვის „სპარტაკთან" ლამის ცენტრიდან გავიტანე.

— კეთილი. კიდევ გილოცავთ პირველ სანაკრებო გოლს და ახლა ახალი მწვრთნელის პირველ სანაკრებო მატჩზეც გვითხარი. კმაყოფილი ხარ?

— რა თქმა უნდა. მგონი, არც თავად ჟირესი დარჩენილა უკმაყოფილო, თუმცა უკეთ თამაშიც შეგვეძლო. ვფიქრობ, ჟირესის სათამაშო სტრატეგია და ფეხბურთის ხედვა საქართველოს ნაკრების წარმატებასთან გვაახლოვებს. მეტოქეზე აქცენტს ნუ გავაკეთებთ, მთავარია, ჩვენ როგორ და როგორი შემადგენლობით ვითამაშეთ. ისე კი, მაინც უნდა ითქვას, რომ გერმანიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მათ ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშეს.

— ჟირესზე უფრო მეტი გვითხარი.

— პირველი შთაბეჭდილება უკვე გითხარით, როგორი ფეხბურთის მიმდევარიც არის, იმ ფეხბურთით წარმატებასთან ახლოს ვართ. თამაშის წინ რა დავალებაც მოგვცა, ამაზე ლაპარაკით შორს წავალთ, მოკლედ კი, მატჩამდე ისე მიგვიყვანა, რომ ფეხბურთელებს ერთი სული გვქონდა, მოედანზე გავსულიყავით, თითქოს ჯანი მოგვემატაო. ჟირესმა ფსიქოლოგიურადაც კარგად განგვაწყო.

— შესვენებაზე რა გითხრათ?

— რაიმე ტაქტიკური გადაადგილებები არ გაუკეთებია. შეცდომებზე მიგვითითა, ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს, არ გადავუტვირთივართ და, რაც ყველაზე მთავარია — ასახსნელი ყველასათვის გასაგებად, ზუსტად ახსნა.

— შედეგით კმაყოფილი დარჩა?

— არა მგონია, უკმაყოფილო იყოს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი არაფერი უთქვამს. ამ მატჩის მერე, ვფიქრობ, მწვრთნელისთვის უკვე ნათელია, რას წარმოადგენს ჩვენი ნაკრები და როგორ მოგვამზადოს.

**ქოგა ინასარიძე**

*გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივი" ბელარუსის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრა და 1:3 დამარცხდა. იური სიომინს ნაკრებებში გამოძახებული ფეხბურთელები აკლდა და ამიტომ გუნდი რეზერვისტებით შეავსო. მათ შორის იყო ჩვენებური რომან ახალკაციც*



# კარგი ცხოვრების ათი წუთი

*„დუბლების" ჩემპიონატში „ტორპედოსთან" დუბლის გამტანი ახალკაცი ბელარუსებთან მატჩის მიწურულს გამოჩნდა მოედანზე და აბა, ამ დროში რის გაკეთებას მოასწრებდა, თუმცა თავად ფაქტი მაინც საყურადღებოა.*

*რომან ახალკაცს ნამატჩევს შევეხმიანეთ...*

— ბოლო ათი წუთი ვითამაშე. ახლა კი ისევ სარეზერვო გუნდში გავაგრძელებ თამაშს. თუმცა მაინც მიხარია, რომ ძირითადში მიწვეულ რამდენიმე ჩემს თანაგუნდელს შორის მეც ამოვჩნდი.

— ათ წუთში ალბათ ვერაფერს მოასწრებდი...

— კმაყოფილი მხოლოდ იმით ვარ, რომ ბელარუსის წინააღმდეგ „ლოკომოტივში" ვითამაშე. სხვა არაფერი ყოფილა. მე რომ შევედი ანგარიში უკვე 1:3 იყო.

— სიომინთან ბოლო ხანს არ გისაუბრია?

— არა. გუშინწინ ერთი ის მითხრა, რომ ბელარუსებთან სათამაშოდ მოემზადეო.

— ეტყობა, „ტორპედოსთან" გატანილი ორი გოლის გამო გამოგარჩია...

— ჰო, ალბათ. თუმცა სიომინს ისედაც აქვს ჩემზე დაკვირვების შესაძლებლობა — მე ხომ ძირითად გუნდში ვვარჯიშობ.

**ქახა შალამბერიძე**

# ბოლნისი ჩალით არ დახურულა

## ჰოდა, ჩალაძეც სიონელია

**თბილისის** „დინამოს" ისტორიული ძლევით გახარებულ ბოლნისის „სიონს" საქმეები ისე აეწყო, ცოტა ხნის წინ ვერც ინატრებდა. გეხსომებათ, დეკემბერში ბოლნისის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულმა დავით ჭიჭიკოშვილმა „სიონს" დახმარების ხელი გაუწოდა და დაპირებებიც არ დააკლო, მაგრამ, ბევრის აზრით, ეს ზურაბ ჯაფარიძის დროინდელ პირობებთან ახლოსაც ვერ მოვიდოდა. მერე კი საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. ახლა ბოლნისს ახალი გამგებელი ჰყავს — ნაციონალი ზაზა ვეშაპიძე, ვინც ფეხბურთზე შეყვარებული კაცი ყოფილა და „დინამოსთან" ნაყოჩაღარი ბიჭებისთვის ნამატჩევს გვარიანი ფულადი პრემიებიც დაურიგებია.

ერთი სიტყვით, „სიონი" ისევ ბობოქრობს და ეჭვი არაა, ამ სეზონში შარშანდელი შედეგის (უეფას თასის საგზური) გაუმჯობესებას თუ არა, განმეორებას მაინც ეცდება. მით უმეტეს, გუნდს დღესაც გვერდში უდგას ცნობილი „კვარციტი", რომლის გენერალური დირექტორი ვასილ ცოტაძე „სიონის" პრეზიდენტიცაა და გუნდს ალბათ ყოფას არ გაუჭირვებს.

ბოლნისურ სიახლეებს, ცხადია, უგუნდოდ დარჩენილი ფეხბურთელებიც ვერ შეხედავდნენ გულგრილად და აი, რა ამბავი გავიგეთ გუშინ: ყაზანის „რუბინის" ყოფილი თავდამსხმელი დავით ჩალაძე კარიერას თემურ მაზარაძის გუნდში გააგრძელებს. ეს საქმე უკვე ბეჭედდასმულია. ჩალაძემ ახალ გუნდში უკვე ივარჯიშა კიდეც და, როგორც შევიტყვეთ, ხელმძღვანელებს პირობებზეც შეუთანხმდა. ასე რომ, ჩალაძის სახით ბოლნისელებს უდავოდ დიდი ძალა შეემატათ.

სიონური სატრანსფერო ამბებიდან იმასაც გეტყვით,



რომ გუნდს რუსეთმოვლილი მცველი ზურაბ არჩვაძე გაეცალა, ვისაც ყაზახური ვარიანტები გამოუჩნდა და დღე-დღეზე აზიის გზას დაადგება. ბელარუსიდან ჩამოსული გიორგი ბერიანიძის ბედი კი ჯერაც გაურკვეველია — საქმეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველის ტრავმა აფერხებს.

**ქახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# გამარჯვება და მეტი არაფერი

## მოიგებ დაგისტვენენ, წააგებ დაგისტვენენ



არგენტინა — ეკვადორი. პაბლო აიმარს მარსელ აივოიმ ბურთი ცხვირწინ ააცალა

V ტური

**არგენტინა 1:0 ეკვადორი**

1:0 კრესპო (60)

**არგენტინა:** კავალიერო, ჯ. როდრიგესი, რ. აიალა, ჰაინცე, სორინი, ლ. გონსალესი, აიმარი (რიკელმე 56), დალესანდრო, მ. გონსალესი (ტევესი 46), კრესპო, ს. დელგადო (ბურდისო 65)

**ეკვადორი:** სევალოსი, დე ლა კრუზი, ი. კურტადო, ესპინოზა, რეასკო, ე. ტენორიო (კავიედესი 67), ობრეგონი, ჯ. კალა (ა. დელგადო 64), აიოვი, ე. მენდესი, ჯ. ტენორიო (ფ. სალასი 74)

მსაჯი: მარტინ ვასკესი (ურუგვაი)

60 000 მაყურებელი

უცნაური ამბავია — 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში არგენტინის ნაკრებმა ამ დროისთვის ხუთი მატჩი ჩაატარა, ერთშიც არ დამარცხებულა და თერთმეტი ქულით ათგუნდა ჯგუფსაც ლიდერობს. და მიუხედავად ამისა, ეკვადორთან მოგებული მატჩის მერე „რივერ პლეიტის" სტადიონზე მისულმა 40 ათასმა გულშემატკივარმა ნაკრები სტვენით გააცილა.

გულშემატკივრებს არც არგენტინული გაზეთები ჩამორჩნენ „კლერინმა" დაწერა: „ეს მხოლოდ გამარჯვება იყო და მეტი არაფერი". „ლა ნასიონალმა" კი კრიტიკის მიზეზი ასე ახსნა: „მიუხედავად იმისა, რომ არგენტინამ გაიმარჯვა, ჩვენების თამაში არაფრად ვარგოდა."

მარსელო ბიელსამ ეკვადორელთა წინააღმდეგ ულტრაშემტევი შემადგენლობა გაიყვანა, მაგრამ არგენტინელებს ბლომად მომენტები არ შეუქმნიათ. ერთი გოლიც ძლივს გაიტანეს. ამის თაობაზე ბიელსამ განაცხადა: „მეტოქეს ამგვარი ტაქტიკის არჩევისთვის არ ვძრახავ, მათი საქმეა, როგორ ითამაშებენ, მაგრამ ცხრა თუ ათკაციანი დაცვის გარღვევა ძალიან ძნელია."

ეკვადორელებმა, ოღონდაც არ წაეგოთ, შეტევაზე თავიდან უარი თქვეს და მთელი გუნდი დაცვაში გადაისროლეს.

არგენტინელთა ერთადერთი გოლი კი ერნან კრესპომ გაიტანა, რომლისთვისაც ეს ზედიზედ ოთხ სანაკრებო შეხვედრაში მეოთხე გოლი იყო. „ჩელსის" ფორვარდმა თამაში ასე შეაფასა: „არგენტინის ნაკრებს ისტორიულად უჭირს შესარჩევ ტურნირებში. მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვფიქრობ, უპრობლემოდ გავალთ. გულშემატკივართა რეაქციამ კი გული დამწყვიტა. მათ მეტი მოთმინება მართებთ, რაკი ნაკრები მშენებლობის პროცესშია და მის მიმართ, განსაკუთრებით მოგებული მატჩების მერე, ასე კრიტიკულები არ უნდა იყვნენ."

ხოლო როცა გულშემატკივართა რეაქციაზე ბიელსას ჰკითხეს, მან უპასუხა: „კრიტიკა უსამართლო იყო. ნაწყენი დავრჩი თუ არა? რომ გითხრათ არაო, იტყვით, ეს კაცი კარგად ვერ არისო."

**ბოლივია 0:2 ჩილე**

0:1 ვილაროელი (38), 0:2 გონსალესი (59)

**ბოლივია:** ხ. ფერნანდესი, ო. სანჩესი, პენა, ლ. პიზარო, პაჩი, ლ. რეიესი (ვაკა 60), ჯ. ანგულო, და როსა, რ. სუარესი (ლ. რიბეირო 46), ბოტერო (ლ. მენდესი 46), ხოსე კასტილიო

**ჩილე:** ტაპია, რ. როხასი, რ პერესი, ვარგასი, ოლარა, მელენდესი, ვილაროელი (მალდონადო 56), მარტელი (ვალენსუელა 75), მ. გონსალესი, გალაზი (პინილია 56), მ. სალასი

მსაჯი: კლაუდიო მარტინი (არგენტინა)

40 000 მაყურებელი

ჩილელებმა ლა პასში დასცეს ბოლივიელები. მასპინძლებს გოლები მოისეს ვილაროელმა და მარკ გონსალესმა გაუტანეს, თუმცა ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი სულ სხვა ფეხბურთელი იყო. ის, ვისაც ეროვნული გუნდის მაისურა ორწელიწადნახევარი აღარ მოერგო და იმ დღეს დაბრუნდა — მარსელო სალასზე მოგახსენებთ.

სალასი 2001 წლის ოქტომბერში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ გაისარჯა და მერე ტრავმებით გაწამებულს ფეხბურთისთვის ნაკლებად ეცალა. ახლა კი ჰაერნაკლულ ლა პასში (3 600 მეტრი ზღვის დონიდან) თამაში საკუთარ თავზე აიღო და აკი გამარჯვებაც გამოჭედა.

პირველი ტაიმის ბოლოსკენ სალასის უნაკლოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმა ბოლივიელთა მეკარე ხოსე ფერნანდესმა დიდი გაჭირვებით მოიგერია, მაგრამ იქვე ჩასაფრებული მოისეს ვილაროელის დამატებულს ველარაფერი მოუხერხა.

მეორე გოლი კი მაურისიო პინილიას დამსახურებაა. ეს ფეხბურთელი იქამდე სამი წუთით ადრე შევიდა შეცვლაზე, სამი მცველი მოატყუა და ფლანგიდან ბურთი შორეული ძელისკენ ჩააწოდა, სადაც მარკ გონსალესს ბურთისთვის ფეხის მირტყმაღა სჭირდებოდა.

ამ გოლმა ბოლივიელები საბოლოოდ გატეხა, თუმცა იქამდე თავს არ ზოგავდნენ და ბევრი ჩილელი მეკარის, ნელსონ ტაპიას კარს სახიფათოდ უტევდნენ.

ნამატჩევს ბოლივიელი ფეხბურთელები გულშემატკივრებმა, ცხადია, სტვენით გააცილეს, მათმა მწვთნელმა ნელსონ აკოსტამ კი თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა თუ გვინდა, ყველა დარჩენილი საშინაო მატჩი უნდა მოვიგოთო.

**ქოტე ქექელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| პარაგვაი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| ბრაზილია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| ურუგვაი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:8 | 7 |
| ჩილე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ვენესუელა | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| პერუ | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| ეკვადორი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 4 |
| ბოლივია | 5 | 1 | 0 | 4 | 5:12 | 3 |
| კოლუმბია | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |

# მანჩესტერი აპირებს, ვალენსია უარყოფს, ვისენტე დუმს



სერ ალექს ფერგიუსონს რაიან გიგზის შემცვლელი შეუგულებია — ვალენსიელი ვისენტე. „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელს ზამთრის შესვენებისას პსჟ-დან არიენ რობენის გადაყვანა ეწადა, მაგრამ რომან აბრამოვიჩის მადამ ეს გარიგება ჩაშალა — რობენი „ჩელსიმ" შეიძინა.

ამჯერად შოტლანდიელმა ვისენტეს დაადგა თვალი. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ინგლისური კლუბი ფეხბურთელის სანაცვლოდ „ვალენსიას" საკმაოდ დიდ თანხას შესთავაზებს.

22 წლის ვისენტეს ფერგიუსონი თურმე კარგა ხანს აკვირდებოდა და მისი ქომაგიც გამხდარა, ამიტომაც სურს ესპანელის „ოლდ ტრეფორდზე" გადაყვანა.

თავისი კლიენტის შესახებ ამბავი რომ გაიგო, ფეხბურთელის აგენტმა სერმენომ თქვა, რა სისულელეაო: „არ ვაპირებ რომელიმე გუნდის მსტოვრებთან დაჯდომას და ამ თემაზე საუბარს. ვისენტე „ვალენსიაში" დარჩება. აქ გამოიძერწა როგორც პროფესიონალი მოთამაშე და რაც უნდა შესთავაზონ, კლუბი არავის დაუთმობს. გასულ ზაფხულს რამდენიმე ევროგრანდმა მოგვაკითხა, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრეთ. სულ არ მიკვირს, რომ ვისენტეს ბევრი მსურველი ჰყავს, რადგან მისი პროგრესი აშკარაა".

„ვალენსიას" პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ კი დასძინა, შარშან „არსენალმაც" მოგვაკითხა და ხელცარიელი გავუშვით, ვისენტე აქ ბედნიერია და რატომ უნდა წავიდესო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დორტმუნდმა ამოროზო ფინალში გაიყვანა

**მარსიო ამოროზოსა** და დორტმუნდის „ბორუსიას" შორის კინკლაობა შარშან დაიწყო. კლუბმა ფეხბურთელებს ჯამაგირი ოცი პროცენტი შეუმცირა და შემცირება მხოლოდ ბრაზილიელმა იუარა.

ტრავმირებული ამოროზო ვითომ ორკვირიანი შვებულებით შარშან შემოდგომაზე სამშობლოში ჩავიდა და პლაჟზე ნებივრობა გაუტკბა, დორტმუნდელებმა ფორვარდს რამდენჯერმე შეუთვალეს, დროზე ჩამოდი და აქ იმკურნალეო. ფეხბურთელმა კი თქვენს ექიმს ვერ ვენდობი, საქმისა არაფერი გაეგება, მაგისგან ვარ ავადო. ჰოდა, ამოროზო ამერიკაში წავიდა და იქ იმკურნალა. დაგვიანებით დაბრუნდა დორტმუნდში, რამაც მასსა და კლუბის უფროსობას შორის ურთიერთობა უფრო დაძაბა. საქმე იმანაც გაართულა, რომ ბრაზილიელი ჯერაც ვერ გამოკეთდა და ალბათ სეზონის ბოლომდე უქმად იქნება, ამიტომ „ბორუსიას" ბოსები მასთან კონტრაქტ..ს გაწყვეტას აპირებენ.



„კლუბს არ სურს შემადგენლობაში ფეხბურთელი, რომელიც თავის პატრონს აგდებულად ექცევა — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში — ვფიქრობთ, რომ უახლოეს დღეებში ფორმალურ საკითხებს მოვაგვარებთ და კონტრაქტი გაუქმდება".

მარსიო ამოროზო კი დაჟინებით იმეორებს: „ჩემი მიზანი „ბორუსიას" მაისურით თამაში, გოლების გატანა და გუნდის ქომაგების გახარებაა, რომლებიც ძალიან მიყვარს".

აქვე ვთქვათ, რომ ბრაზილიელი წელიწადში დაახლოებით 5 მილიონ ევროს იღებს და ერთ-ერთი მაღალხელფასიანი მოთამაშეა გერმანიაში.

მოკლედ, შარშან სექტემბერში დაწყებული დავა ალბათ, ამოროზოს გაშვებით დასრულდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ამხანაგური მატჩები

**ისრაელი 2:1 ლიტვა**

1:0 ბალილი (34), 1:1 ბენ-შაიმი (43ს.კ.), 2:1 ბადირი (64)

**ისრაელი:** დავიდოვიჩი, გაზალი, ბენადო, გერშონი, ბენ-შაიმი (ბენ-იოსეფი 72), ანტები, ბადირი, ტალი, აფეკი (ცარფატი 81), ბალილი (უდი 66), არბეიტმანი (შალივა 70)

**ლიტვა:** სტაუჩე, სტანკევიჩიუსი, დედურა, ბარასა (ჟიაუკშტასი 8), შკერლა, ვენცევიჩიუსი (ბენიუსისი 87), მორინასი, ტომაუშკასი, ჩესნაუსკასი, პოდერისი (რაჟინევიჩიუსი 64), გელგაუდასი

მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

9 782 მაყურებელი

**ავსტრალია 1:0 სამხ. აფრიკა**

1:0 ბრეშიანო (19)

**ავსტრალია:** შვარცერი, ნაილი, კ მური, ტ. პოპოვიჩი, ემერტონი (სტერიოვსკი 75), სკოკო, ლაზარიდისი, ჩიპერფილდი, ბრეშიანო (ჩეპილი 75), კოუელი (ზდრილიჩი 64), ვიდუკა (ალოიზი 64)

**სამხრეთ აფრიკა:** ვონკი, მოლეფე, კარნელი (ნ. მორისი 33), მოკოენა, მაბიზელა, მნგუნი (დევიდსი 59), პიენაარი (ვილაკაზი 74), ნომვეტე, ზუმა, ბაკლი, ბარტლეტი

მსაჯი: მარკ ჰალსი (ინგლისი)

16 108 მაყურებელი

### ახალგაზრდულები (U-21)

**შვედეთი 2:2 ინგლისი**

0:1 ეშტონი (14), 1:1 ნილსონი (58), 2:1 ანდერსონი (70), 2:2 ჩოპრა (90)

**მალტა 2:0 ფინეთი**

1:0 ჰალსტი (20ს.კ.), 2:0 მაგრი (77)

**ჰოლანდია 1:1 საფრანგეთი**

1:0 ჰოფსი (20), 1:1 ალიადირი (24)

**ესპანეთი 3:0 დანია**

1:0, 2:0, 3:0 სერხიო გარსია (17, 26, 61)

**შოტლანდია 0:2 რუმინეთი**

0:1 პლესანი (5), 0:2 მიხაი-ფლორეში (89)

**პორტუგალია 1:3 იტალია**

0:1 პინცი (1), 0:2 ჯილარდინო (37), 0:3 კიელინი (63), 1:3 ჟოაუ პაულუ (65)

**სერბეთი 1:0 ნორვეგია**

1:0 პოპოვიჩი (81)

**ბოსნია 1:1 ხორვატია**

0:1 აბრამოვიჩი (62), 1:1 სარაილიჩი (79)

# ერიქსონმა ჩელსი კაპელოს დაუთმო

## ფაბიოს სკუდეტო მილანისთვის არ ენანება

*„რომას“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ დაადასტურა, რომ სიამოვნებით იმუშავებდა ინგლისში და ამით ხმები იმის თაობაზე, რომ მასთან მოლაპარაკებებს რომან აბრამოვიჩის „ჩელსი“ აწარმოებს, ერთიორად გააძლიერა. მოგეხსენებათ, სამი დღის წინ გაბათილდა მთავარი ინგლისური ჭორი, თითქოს ამ ქვეყნის ნაკრების შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი ფეხბურთის ასოციაციასთან კონტრაქტს წყვეტს და კვირაში ასი ათასი გირვანქის ეშხით „ჩელსიში“ გადადის — ერიკსონმა ფეხბურთის ასოციაციასთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა — ასე რომ, ჭორთაგან პირველ ადგილზე კაპელოს ამბავი გადავიდა*



„მსურს ჩემი გამოცდილება მორიგ უცხო ქვეყანაში გამდიდრდეს — უთხრა კაპელომ ესპანურ გაზეთ „ელ პაისს“ — თუმცა „რომასთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით დარჩენას მავალდებულებს“.

შეგახსენებთ, რომ კაპელო ოთხმოცდაათიანი წლების შუაში მადრიდის „რეალს“ წვრთნიდა და ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საერთოდაც, ამ სპეციალისტს ტიტულის გარეშე ერთი კლუბი არ დაუტოვებია. გაიხსენეთ, „მილანში“ იყო და იტალიის ჩემპიონი გახდა, „რეალზე“ მოგახსენეთ, „რომას“ ისევ სკუდეტო მოაგებინა და ახლა პრემიერლიგის უმაღლესი ჯილდოს შემატება სურს.

და კიდევ ერთი, წლეულს ფაბიო კაპელოს სკუდეტოს იმედი ვაგლახ, აღარ აქვს.

„მტკიცედ ვიცი, რომ ამ სეზონში იტალიის ჩემპიონი „მილანი“ გახდება, რატომ? იმიტომ, რომ ამ გუნდს სუსტი წერტილები არ აქვს“ — უთხრა „რომას“ თავკაცმა „ელ პაისს“.

ერთი სიტყვით, „რომადან“ მწვრთნელიც გარბის — ასე შეიძლება ვუწოდოთ ამ ყოველივეს. რაც შეეხება რომაელთა კაპიტნის და ვარსკვლავის, ფრანჩესკო ტოტის ამბავს, ამაზე გუშინ ხომ უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე გუშინწინ და დღეს გაცილებით მეტს ამბობენ, ვიდრე გუშინ ამბობდნენ. აი, მაგალითად, რა უთხრა ფეხბურთელის ყოფილმა აგენტმა ფრანკო ძავალიამ „რადიო რადიოს“:

„მე ფრანჩესკოს ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ მისი „რომადან“ სადმე წაყვანა უკიდურესად ძნელი იქნება. და მაინც, თუ ის დედაქალაქიდან წავა, მხოლოდ ესპანეთში, „რეალში“ ან „ბარსელონაში“. ყოველ შემთხვევაში, ტოტი რომელიმე სხვა იტალიურ გუნდში არავითარ შემთხვევაში არ გადავა“.

საინტერესოა, რომ გასულ კვირას, როდესაც „რომამ“ „ბოლონიასთან“ 1:2 წააგო, დაირხა ხმა თითქოს მატჩის შემდეგ ტოტის „ინტერის“ მთავარი მეწილე და მეპატრონე მასიმო მორატი შეხვდა, მაგრამ „რომას“ კაპიტნის წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ უარყვეს ეს ხმები.

საინტერესოა, რომ ფრანჩესკო ტოტისა და მის „რეალში“ შესაძლო გადასვლაზე რატომღაც „რეალის“ არგენტინელ ფეხბურთელს, სანტიაგო სოლარისაც ჰკითხეს აზრი. სოლარის პასუხს დავეთანხმებით თუ არა, სხვა საკითხია, მაგრამ გულწრფელად რომ უპასუხა, ფაქტია და, ალბათ, დასაფასებელი.

„ტოტი და ტიერი ანრი ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ზიდანის, ფიგუს, რონალდოს, რაულის, ბექჰემის და რობერტო კარლოსის დონეს ვერ უტოლდებიან“ — მიუგო მან.

ყველაფერთან ერთად დღესაც შეგახსენებთ, რომ „რომას“ ფინანსური პრობლემები აქვს და ტოტის გაყიდვამ ეს პრობლემები შეიძლება ნაწილობრივ მაინც შეამსუბუქოს. საინტერესოა, რომ რომაელებს „სქაი იტალიამაც“ წაუკრა ხელი. ამ ტელეარხმა მომავალი ფასიანი ტრანსლაციების თანხა წინასწარ, ავანსად მისცა და ეს თანხა დაახლოებით 15 მილიონ ევროს უდრის. ჯამში კი „რომამ“ ტელეარხებიდან სადღაც 40-45 მილიონ ევრომდე უნდა იშოვნოს.

თუმცა ფული ფულად და... გახსოვთ რა მოხდა „რომას“ და „ლაციოს“ შეხვედრაში ორი კვირის წინ?

შეგახსენებთ: რომაული დერბი 48-ე წუთზე შეწყდა და აღარ გაგრძელებულა. ამის მიზეზი გახლდათ „რომას“ ქომაგთა სექტორიდან გავრცელებული ჭორი, თითქოს სტადიონს გარეთ პოლიციის მანქანამ მავან ბიჭს გადაუარა. ჭორი ჭორად დარჩა, არ გამართლდა, მაგრამ თავისი შავი საქმე მოასწრო: „რომას“ ტიფოზთა ყოჩები მოედანზე ჩავიდნენ და ფრანჩესკო ტოტის თამაშის ჩაშლა მოსთხოვეს. სანამ მსაჯი და სხვა ოფიციალური პირები მდგომარეობაში გარკვევას ცდილობდნენ, ისევ და ისევ „რომას“ ტრიბუნაზე ერთი ამბავი ატყდა, ქომაგებმა კარაბინიერებს ჩხუბი აუტეხეს და საბოლოოდ მატჩიც ჩაიშალა და აყალმაყალი „სტადიო ოლიმპიკოს“ ახლომახლო ქუჩებსაც მოედო ერთი-ორი საათით.

და აი, შედეგი: დერბი გადათამაშდება, მაგრამ „რომას“ ერთი თამაშის გამართვა მშობლიური გარემოს ნაცვლად ნეიტრალურ მოედანზე მოუწევს. ეს თამაში, სავარაუდოდ, „ემპოლის“ წინააღმდეგ იქნება.

რაც შეეხება გადათამაშების თარიღს, იგი გუშინ დადგინდა და 14 აპრილს ჩატარდება. დაწყების დრო შუადღის 3 საათი იქნება.

უცნაურია, ის გარემოება, რომ „რომა“ გარდა ზემოთქმულისა, დაისაჯა 3 600 ევროთი, ხოლო „მასპინძელი“ „ლაციო“... 35 ათასით.

**პაპუნა ძიძია**




„რომას“ ტიფოზების მიერ ჩაშლილი „რომა“ — „ლაციო“ გადათამაშდება, კლუბებს კი ფულადი ჯარიმები გამოუწერეს




# აბრამოვიჩმა ტორესი შეაფასა







## 36 მილიონი, ზედ ჯიმი და მაკელელე

**რომან აბრამოვიჩს** ფერნანდო ტორესის „ჩელსიში“ გადაყვანა სურს და გვარიანი თანხის გადახდაზეც ყაბულსაა. „სტემფორდ ბრიჯის“ პატრონი თვლის, რომ მადრიდელი თავდამსხმელი მომავლის „ჩელსის“ მშვენება უნდა გახდეს. ორი დღის წინ „ვისენტე კალდერონზე“ მორიგი მესიჯი მივიდა — აბრამოვიჩი მზადაა ტორესში 36 მილიონი ევრო გადაიხადოს და „ჩელსის“ ორი ფეხბურთელიც დათმოს, რომელთა საერთო ფასი 18 მილიონი ევროა. გამოდის, რომ რუსი მილიარდელი „ელ ნინიოს“ შესაძენად 50 მილიონ ევროზე მეტს იმეტებს, რაც დღევანდელ საფეხბურთო ბაზარზე საკმაოდ მსუყე თანხაა, თუმც მადრიდის „ატლეტიკოს“ თავკაცთა სიმტკიცესაც ჯეროვანი პატივი უნდა მივაგოთ — „არისტოკრატთა“ პრეზიდენტს კვლავაც დაბეჯითებით განუცხადეს, „ელ ნინიოს“ არ ვყიდითო...

რუსმა ოლიგარქმა ფერნანდო ტორესს გასულ ზაფხულს დაადგა თვალი და მადრიდელებს 24 მილიონი ევრო შესთავაზა. მაშინ უარი მიიღო, მაგრამ ესპანელი გულიდან არ ამოუგდია, რასაც აბრამოვიჩის ახლანდელი მონდომებაც მოწმობს. „ატლეტიკოც“ არ ნებდება, მიუხედავად იმისა, რომ ის ორი ლონდონელი ფეხბურთელი კლოდ მაკელელე და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი არიან.

ჰასელბაინკს ადრეც უთამაშია „ატლეტიკოში“ და გუნდის ბომბარდირიც გახდა. ჩელსელები იმ პოზიციებზე თამაშობენ, რომლის გაძლიერებაც „კალდერონის“ მესვეურებს ზაფხულში სურდათ.

აბრამოვიჩის ტორესით დაინტერესება ალბათ, მის მიერ ადრე ფუჭად გაფანტული ევროებით უნდა ავხსნათ. რუსს განსაკუთრებით ვერონის, კრესპოს და მაკელელეს სუსტმა თამაშმა დასწყვიტა გული. ლონდონის „არსენალმაც“ თანაქალაქელ „არისტოკრატთა“ ჯალათის სახელი დაიგდო. „მეთოფეებმა“ „ჩელსი“ ჯერ თასის გათამაშებიდან გააგდეს, პრემიერლიგაშიც ჩამოიტოვეს და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდანაც თუ გამოთიშეს...

შეგახსენებთ, რომ „ელ ნინიო“ ბევრს სხვასაც უნდა. სერ ალექს ფერგიუსონმა „ატლეტიკოს“ 30 მილიონი ევრო და ურუგვაელი დიეგო ფორლანი შესთავაზა. ტორესის გადაბირება ასევე ტურინის „იუვენტუსსაც“ სურს, ასე რომ, „ატლეტიკოს“ უფროსობას ალბათ დიდი ძალისხმევა დასჭირდება ფორვარდის შესანარჩუნებლად...

**ლადო ხომერიკი**

# ბალაკმა შემპარდნაძის დანგრეული ტელევიზორში ნახა

*ამას წინათ, რუდი ფიოლერმა განაცხადა, მიხაელ ბალაკი ზიდანზე არანაკლები ფეხბურთელიაო. ბუნდესნაკრების მწვრთნელმა თურმე სტატისტიკური მონაცემები შეაგროვა და აღმოაჩინა, რომ ბალაკი ზიდანს ზოგ კომპონენტში სჯობს კიდეც. ფიოლერის თქმით, „ბაიერნის“ნახევარმცველი უდიდესი ნიჭის პატრონია, რომელსაც კალაპოტში მოქცევა და სათანადო გამოყენება სჭირდება. ფეხბურთელის აზრთაკრებულს კი ქვემოთ გთავაზობთ და თავად შეაფასეთ მიხაელ ბალაკი*



### უცნობი კერპი

ბავშვობაში სათაყვანებელი ფეხბურთელი მყავდა, მაგრამ ის არ იყო მსოფლიოში ცნობილი კაცი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გავიზარდე და ჩემთვის მისაბაძი მოთამაშე „კიოლნის“ ნახევარმცველი რიკო შტაინმაინი გახლდათ. ყმაწვილობაში მსურდა, რომ მას დავმსგავსებოდი.

### კედელთან

ბერლინის კედლის ნგრევისას 13 წლის ვიყავი და ამ ამბავს ტელევიზიით ვუყურე. ნუ იფიქრებთ, თითქოს სრულიად გდრ-ი ამ კედელთან იდგა. ეს უცნაური, არაჩვეულებრივი სანახაობა იყო.

### კარლ მარქსიდან დიდ ქალაქში

კოტბუსის მახლობლად, პატარა ქალაქ ჰერლიტცში დავიბადე, კარლ მარქს შტადტში კი გავიზარდე, რომელსაც ახლა ქემნიცი ჰქვია. 1997 წელს კაიზერსლაუტერნში გადასვლა ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მომენტია, რადგან პირველად მოვწყდი მშობლიურ ალაგს და დიდ ქალაქში დამოუკიდებლად ცხოვრება დავიწყე. პროფესიული თვალსაზრისითაც წინ ნაბიჯი გადავდგი, რადგან მეორე ბუნდესლიგის კლუბიდან ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში აღმოვჩნდი.

### ტკბილი მოგონება

ლევერკუზენში გატარებულ დროს ყოველთვის ტკბილად ვიხსენებ. როგორც ფეხბურთელი და პიროვნება, სწორედ „ბაიერში“ ჩამოვყალიბდი. ეს უმაღლესი კლასის ევროპული გუნდია. ულფ კირსტენთან, იენს ნოვოტნისთან, ლუსიოსთან და ემერსონთან მხარდამხარ თამაში სიამოვნება იყო. მადლიერი ვარ კრისტოფ დაუმისა და კლაუს ტოპმიოლერისა, რომლებმაც ბევრი რამ მასწავლეს.

### და მაინც ბაიერნი

2002 წელს არჩევანის წინაშე დავდექი — „ბაიერნი“ თუ „რეალი“? მადრიდს მიუნხენი ვამჯობინე, რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ „რეალი“ მძულს. „ბაიერნი“ ვარჩიე, რადგან მსურდა ჩემი ქვეყნის გუნდისთვის სარგებლობა მომეტანა.

### წინ სრულყოფილებისკენ

ული ჰიონესმა თქვა, ბალაკს ჯერ თავისი შესაძლებლობის 20 პროცენტიც კი არ გამოუვლენიაო. ეს ფაქტი სტიმულს მაძლევს, რათა კიდევ უფრო კარგად ავთამაშდე. მუდამ სრულყოფისკენ ვილტვი, რადგან როგორც კი ჩათვლი, რომ ყველაფერი იცი, მაშინვე დამარცხდები.

### ფიოლერის 13

რუდი ფიოლერი „ბაიერში“ 13-ნომრიანი მაისურით თამაშობდა. ლევერკუზენში რომ მოვედი, მან კარიერა დაასრულა და თავისი ნომერი დამითმო. მას შემდეგ ამ რიცხვს აღარ ვშორდები და ნაკრებშიც ავიკვიატე.

### გაყვითლებული ფინალი

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის გამოტოვება, რა თქმა უნდა, საწყენია. კორეელებთან მატჩამდე ვიცოდი, რომ ერთი ყვითელი ბარათი მქონდა და სიფრთხილე მმართებდა, მაგრამ თამაშის დროს საკუთარ თავზე კი არა, გუნდზე ვფიქრობ და ის, ჩემთვის საბედისწერო ჯარიმაც შეგნებულად ავიკიდე — მეტოქის შეტევის სხვაგვარად ჩაშლა შეუძლებელი იყო.

### ფრანც ბეკენბაუერზე

„კაიზერ ფრანცი“ გერმანიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. ის „ბაიერნის“ პატრონია და ხშირად სასარგებლო რჩევებს მაძლევს. ზოგი ბეკენბაუერს მადარებს, რაც ჩემთვის დიდი პატივია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რა იცი, ბიჭი?

## 26 ოქროს ბუცი დეპორტივოსთვის

*როი მაკაი ძალიან დიდხანს იყო ცნობილ ჰოლანდიელ ფორვარდთა ჩრდილში, არადა, გოლები, იცოცხლეთ, გაჰქონდა და გაჰქონდა. გოლები გაჰქონდა, მაგრამ ტიტულები აკლდა და კიდევ, აკლდა გახმაურებული თამაშები — გუნდები, რომელთა შემადგენლობაშიც გამოდიოდა, ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად ვერ წყვეტდნენ. „დეპორტივო“ რომ „დეპორტივოა“, დაგვეთანხმებით, ისიც არ იყო სუპერგუნდი*



და ეს ყველაფერი გასულ სეზონში დასრულდა. მაკაი ჯერ ევროპის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (ეგრეთ წოდებული „ოქროს ბუცი“ მიიღო), შემდეგ კი მიუნხენის „ბაიერნმა“ იყიდა. გერმანელებმა 19 მილიონი ევრო გადაიხადეს.

არადა, მანამდე, როდესაც ლა კორუნიაში ყველასთვის ნათელი გახდა, რომ მაკაი მათი გუნდიდან წასვლას აპირებდა, კლუბის ხელმძღვანელებმა ისეთი სამხრეთული ფოკუსების კეთება დაიწყეს, რომ ერთგულ თავდამსხმელს ლამის თავი შეაძულეს. ხან სატრანსფერო თანხა ისე ასწიეს, რომ მყიდველები დაუფრთხეს, ხან პრემია დაუგვიანეს და სხვა. რატომ იქცეოდნენ ასე? ვინ იცის. იქნებ რამდენიმე ზედმეტი მილიონის გამორჩენა უნდოდათ ან იქნებ უბრალოდ შურდათ, რადგან ხვდებოდნენ, რომ შესაძლოა, მაკაი მათი გუნდისთვის გადაიზარდა კიდეც.

შემდეგ კი იცით, რა მოხდა? მაკაიმ ნაცნობ იუველირს ოცდაექვსი მინიატურული ოქროს ბუცი შეუკვეთა, თითოეულზე ამოაკვეთინა „გმადლობთ, მაკაი“ და კლუბში დაარიგა. აი, ასე წავიდა ლა კორუნიიდან ფეხბურთელი, რომლის ვეება პორტრეტიც ძალიან ხშირად შესცქეროდათ იქაურებს „გალისიის ხმის“ პირველი გვერდიდან: როიმ ისევ გაიტანა!

და, როგორც გითხარით, „ბაიერნმა“ 19 მილიონი ევრო გადაიხადა, თუმცა... ცხრამეტივე ლა კორუნიაში არ ჩასულა. საქმე ის გახლავთ, რომ ახალი წესია: როდესაც ტრანსფერი ხორციელდება, თანხის დადგენილი პროცენტი გაყიდულ-ნაყიდი ფეხბურთელის აღმზრდელ კლუბს ეკუთვნის. როი მაკაის შემთხვევაში ასეთი „ბალუ ვიტი“ გახლდათ.

დიახ, გაიღვიძა ერთ მშვენიერ დღეს ქალაქ ნაიმეგენში მდებარე თუ მოქმედი მეოთხელიგელი კლუბის, „ბალუ ვიტის“ პრეზიდენტმა, ბატონმა კოკმა და ანგარიშზე 141 ათასი ევრო დახვდა. გაგიჟდა ეს პატიოსანი კაცი:

„დებეტი და კრედიტი თუ დავაჯამეთ, გამოვა, რომ ჩვენ მეტი ფული გვაქვს, ვიდრე ჩვენი ქალაქის პროფესიულ კლუბს, NEC-ს“ — განაცხადა გახარებულმა. ცინიკოსებმა კი გაკენწლეს — ეგრე ხარჯი და მოგება რომ უანგარიშო, შესაძლოა, „ბალუ ვიტი“ მადრიდის „რეალზე“ მდიდარი გამოვიდესო. ვაგლახ, ცინიკოსებს 141 ათასი არ აქვთ, ბატონი კოკისადმი რწმუნებულ ორგანიზაციას კი აქვს.

მაკაისა და „ბალუ ვიტის“ ამბავი კი ისე დაიწყო, რომ 1988 წელს — ეს ის წელიწადია, როდესაც ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა — ნაიმეგენში ახალდასახლებული ოჯახის მამა კლუბის ოფისში მივიდა, ცამეტი წლის ბიჭი მყავს და ბავშვთა გუნდში აიყვანეთო. აიყვანეს და ნახეს, რომ ბიჭმა ფეხბურთის თამაში ასე იცის: წინ დგას და ბურთს რომ მიიღებს კარში არტყამს, კარში დარტყმის გიჟია. მისი მაშინდელი მწვრთნელი თუ მასწავლებელი ჰანს პოტიესი იძულებული გახდა ჰასით დაეწყო. ბურთს რომ მიიღებ, მაინცდამაინც თავად კი არ უნდა დარტყა კარში — განუმარტავდა პედაგოგი.



„როის ყოველთვის ბევრი გოლი გაჰქონდა, მაგრამ თანაგუნდელებისგან მაინცდამაინც ვერ გამოირჩეოდა“ — ასეთ გაუგებარ რამეს ამბობს ბატონი პოტიესი.

და კიდევ ერთი თვისება, რომლითაც მაკაი მაშინ თანატოლებისგან გამოირჩეოდა, სიმშვიდე გახლდათ. იმ ასაკში, როდესაც თითოეული ჩვენგანი უფროსებს რაღაცას უმტკიცებს, ებრძვის და ცდილობს არ დაუჯეროს, მაკაი მორჩილი იყო, უბრალოდ ბურთს მიიღებდა და კარში არტყამდა.

ასე იყო თუ ისე, „ბალუ ვიტმა“ მაკაი ვერ დააფასა. ვერ დააფასა ზემოხსენებულმა NEC-მა ანუ ჩვენებურად „ნაიმეგენმაც“ და საბოლოოდ იგი არნემის „ვიტესში“ აღმოჩნდა.

რას აკეთებდა როი მაკაი „ვიტესში“? იმას, რაც იცოდა — გოლები გაჰქონდა, ახალი არაფერი. ხოლო თამაშების შემდეგ გამოიცვლიდა, საყვარელ მოპედს მოახტებოდა და ამორჩეულ ბარში მიდიოდა. იქ მეგობრები შეუერთდებოდნენ და იწყებოდა ჩიპსის ჭამა ფეხბურთზე, კარბურატორზე, მაყუჩზე, ბენზინის ავზზე, ძრავებს შორის განსხვავებაზე და სხვა ამდაგვარებზე საუბრის თანხლებით.

შემდეგ, ერთ დღეს, მაკაის უთხრეს, „აიაქსში“ ლუის ვან გაალს უნდიხარო. მაკაი შეკრთა, აბა, რას ლაპარაკობთ, კლუივერტის, კანუს და ლიტმანენის გუნდში მე ვინ მათამაშებსო, განაცხადა და „ვიტესის“ ქომაგები გაახარა.

„ეს ბიჭი არსად წამსვლელი არ არის“ — თქვეს მათ და ერთი წელიწადი არ იყო გასული, რომ მაკაის კანარის კუნძულებზე, „ტენერიფეში“ გადასვლის ამბავი გაიგეს.

„ტენერიფეს“ პერიოდი მაკაისთვის ასეთი გამოდგა: თვითონ გოლები გაჰქონდა, გუნდი კი ცუდად თამაშობდა.

შემდეგ იყო „დეპორი“ და ევროთასებზე თამაში, რასაც 19-მილიონიანი ტრანსფერი მოჰყვა.

**პაპუნა კედია**






# კეირუშმა პორტილიო მოიძულა

## ბედის და რეალის ნებიერა უსაჩუქროდ დატოვეს

| 5112 | კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5113 | შალკე-ჰამბურგი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5114 | მიუნხენი-ჰანოვერი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5115 | კიოლნი-აინტრახტი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5116 | ვერდერი-ფრაიბურგი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5117 | დორტმუნდი-ბოხუმი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5118 | ანკონა-სამპდორია | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 5119 | ბოლონია-რეჯინა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5120 | კიევო-პარმა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5121 | ემპოლი-პერუჯა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5122 | ლაციო-სიენა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5123 | ლეჩე-რომა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 5124 | მოდენა-მილანი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 5125 | უდინეზე-ბრეშა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5126 | ინტერი-იუვენტუსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5127 | სევილია-ესპანიოლი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5128 | ალბასეტე-რეალი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5129 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5130 | ოსასუნა-მალაგა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5131 | ბილბაო-სელტა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5132 | სარაგოსა-რასინგი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5133 | მალიორკა-სოსიედადი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5134 | დეპორტივო-ბეტისი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5135 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5136 | ვალენსია-მურსია | 1,2 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 |

# ოპოზიცია ხმებს კარგავს

## მიხეილ რობიტაშვილი

## გეგიძის გადადგომის მოთხოვნა დიალოგი არაა



*სპორტის დეპარტამენტის დარბაზში ორიოდ დღის წინ გამართულ რაგბის კავშირის რიგგარეშე ყრილობაზე განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ხმის უფლების მქონე 29 დელეგატიდან მხოლოდ თხუთმეტი გამოცხადდა, გადაწყვეტილების მისაღებად კი მინიმუმ ცხრამეტი ხმა იყო საჭირო. წესდების თანახმად, მორიგ რიგგარეშე ყრილობაზე, რომელიც 15 აპრილისთვის დაინიშნა, უკვე თხუთმეტიც იკმარებს, მაგრამ ბიძინა გეგიძის გუნდის განცხადებით, მოწინააღმდეგე ფრთა თორმეტზე მეტს ვერ მოაგროვებს.*

სარაგბო კლუბ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი ხმის განმკარგველის ვინაობის დადგენას ალბათ დიდი დაპირისპირებები მოჰყვება. ჯერ კიდევ 26 იანვრის არჩევნებში უნივერსიტეტი გეგიძის მხარეს იდგა. 28 მარტს კი მისმა მთავარმა მწვრთნელმა დავით კილასონიამ ანთაძის სასარგებლოდ გააკეთა განცხადება. როგორც გუშინ კავშირში გვითხრეს, კილასონიასთვის თსუ-ს ხმები არავის მიუცია. მეტიც, იგი გუნდიდან ორი თვის წინ გაუშვიათ.

მოქმედი პრეზიდენტი და მისი მხარდამჭერი კლუბები არც 15 აპრილის ყრილობაზე აპირებენ გამოცხადებას. და კიდევ, თურმე არც ვეტერან მორაგბეთა კავშირს ექნება 26 იანვარს მინიჭებული ერთი ხმის გამოყენების უფლება.

28 მარტის რიგგარეშე ყრილობაზე გაკეთებულმა განცხადებებმა კავშირის თავკაცები ალაშფოთა. მათი თქმით მთელ რიგ უზუსტობათა გასასწორებლად და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ რობიტაშვილმა კავშირში მიგვიწვია:

„ყრილობაზე ბევრმა არასწორმა ინფორმაციამ გაიჟღერა და მინდა, ყველაფერს პასუხი გავცე — გვესაუბრება რობიტაშვილი — პირველ რიგში ითქვა, რომ ყრილობას ხმის უფლების მქონე 7 სუბიექტი და 15 კაცი ესწრებოდა. სინამდვილეში კი სუბიექტთა რიცხვი 5 იყო, ხოლო არჩევნებში ხმის მიცემა 12 დელეგატს შეეძლო. დავით კილასონიას უნივერსიტეტის სახელით საუბარი კანონით აღარ შეუძლია. ვარჯიშების გაცდენის გამო იგი ჯერ კიდევ ორი თვის წინ დაითხოვეს. ამის დამამტკიცებელი საბუთიც გვაქვს. თუ გახსოვთ, ბიძინა გეგიძემ გააკეთა მიმართვა კლუბებისამდი, რიგგარეშე ყრილობა მაისში გამართულიყო. მთელმა რიგმა კლუბებმა ოფიციალურადვე განაცხადეს თანხმობა. მათ შორის იყო უნივერსიტეტიც.

...მართალია, 26 იანვრის ყრილობაზე ვეტერან მორაგბეებს ერთი ხმა მივეცით, მაგრამ ნამდვილი წევრები ისინი ჯერ არ არიან და საამისოდ პროცედურული საკითხებია მოსაგვარებელი. პირველ რიგში, რაგბის კავშირის მიერ ლიცენზირებაა საჭირო. ამას დრო სჭირდება. მათ ამ ხმის გამოყენება რიგგარეშე ყრილობაზე არ შეუძლიათ. ასე რომ, ქვორუმი არც მაისში შეიცვლება. ვეტერანების ხმას ძალა მომავალი წლიდან ექნება.

...ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი კიზირიამ თქვა, რომ მისგან განსხვავებული აზრის მქონე ორი კაციც არ ეგულება. ეს ტყუილია. 25-30 ვეტერანს დავისახელებთ, რომლებიც რაგბის კავშირთან თანამშრომლობენ, როგორც თბილისში, ისე მის ფარგლებს გარეთ. არც ისაა მართალი, თითქოს მოგვმართეს და ყურადღება არ მივაქციეთ. პირიქით, ჩვენ მივმართეთ, თანაც არაერთხელ, მაგრამ არასოდეს ერთად ყოფნის სურვილი არ ჰქონიათ. იყო ბათუ კევლიშვილის ბრალდებაც, აქაოდა, ბავშვთა და მოზარდთა რაგბის ყურადღება არ ექცევაო. ასე რომ იყოს, ნამდვილად არ გვეყოლებოდა ასეთი დონის ახალგაზრდული ნაკრები. ამჟამად იგი სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს თასზე თორმეტ საუკეთესო გუნდშია. წლების წინ კი სადღაც C ჯგუფში, ლუქსემბურგის დონის ნაკრებებს ეთამაშებოდა.

...მას შემდეგ, რაც ჩვენი გუნდი მოვიდა სათავეში (1995 წელი), რამდენიმე რეგიონში შეიქმნა რაგბის კერა. სენაკში, ფოთში, ბორჯომში, პატარძეულში, დედოფლის წყაროსა და აჭარაში მრავალი კლუბი ჩამოყალიბდა. მათ კავშირი თითქმის ყოველწლიურად ამარაგებდა ბურთებით და ფორმებით. ფოთსა და სენაკში სტადიონების მშენებლობაშიც მივიღეთ მონაწილეობა. გარდა ამისა, აღნიშნულ რეგიონებში რაგბის გასავითარებლად არაერთი ღონისძიება ჩატარდა. თუნდაც 2001 წლის ფოთისა და 2003 წლის ქობულეთის საერთაშორისო სტაჟირებები რად ღირს. არც 6-7 კაცისაა ეს კავშირი და არც განსხვავებული აზრის მქონეთ ვავიწროვებთ. ეროვნული ნაკრების ორი მწვრთნელი, დავით ჩავლეიშვილი და მალხაზ ჭეიშვილი ხომ ოპოზიციური მხარის წარმომადგენელია. იქვეა ახალგაზრდულის თავკაცი ლევან მაისაშვილიც.

...საუკეთესო ვარიანტი მეორე მხარესთან საერთო ენის გამონახვაა. მოლაპარაკება რამდენჯერმე ვცადეთ. თანამშრომლობაც შევთავაზეთ, მაგრამ თავად არა აქვთ სურვილი. პირველივე მოთხოვნა, რაც წამოგვიყენეს, გეგიძის გადადგომაა და როგორღა შეიძლება ამას დიალოგი დავარქვათ. ახლა ყველაფერი ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს, ოღონდ ცივილიზებული გზით. 15 აპრილს გადაწყვეტილების მისაღებად ხმის უფლების მქონე თოთხმეტი დელეგატი უნდა შეიკრიბოს. თუ ამდენი არ მოგროვდა, ისევ გადაიდება, მაგრამ რაოდენობა შემდეგ რიგგარეშე ყრილობაზე აღარ შემცირდება. დელეგატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები ვერაფერს გადაწყვეტს."

**ოთარ მაღლაკელიძე**



*წლევანდელი სეზონი ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის არცთუ წარმატებული გამოდგა — ერთა თასის გუნდები გრანდები არ არიან მაგრამ მათთან ბორჯღალოსნებს ხუთ თამაშში ორი მოგება, ორი წაგება და ერთიც ფრე მოუგროვდათ. ევროპის მეორე სანაკრებო „ლიგაში" დაბალი პოზიციის დაკავებას ნაკრების ხელმძღვანელები იმით ხსნიან, წლევანდელი მატჩების ანგარიშებს პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა და სწორება ნაკრების გაახალგაზრდავებაზე აიღეთო. ახალი მწვრთნელები „მომავლის გუნდისთვის" არაერთ მოთამაშეს მონიშნავდნენ და ერთ-ერთი მათგანია „ლოკომოტივის" მორკინალი ზვიად მაისურაძე*

# თუ შედეგი სურთ, მოგვიარონ

— ზვიად, სამ თამაშში მიიღე მონაწილეობა...

— ჰო, პორტუგალიასთან, ესპანეთთან და ჩეხეთთან. ამ სამიდან ყველაზე დაძაბული პორტუგალიასთან შეხვედრა გამოდგა. მწვრთნელების მითითებით, ძალისმიერი თამაში გვევალებოდა და ამ მხრივ, მე მგონი, გადავამეტეთ კიდეც.

**— ძალისმიერ რაგბის „ლოკომოტივიც" თამაშობს და ალბათ ამიტომ ამბობენ, ნაკრების მწვრთნელებმა ბენდიაშვილის ტაქტიკას მიმართეს პორტუგალიასთანო...**

— „ლოკომოტივი" მართლაც თამაშობს ძალისმიერ რაგბის, თუმცა ამას ნაკრებთან შეხება არა აქვს. რაკი პორტუგალიელები ფიზიკურად ჩვენზე სუსტები იყვნენ, ნაკრების მწვრთნელებმა ამიტომ გადაწყვიტეს, ძალით დაგვეჩაგრა ისინი. მაგრამ შემდეგ თამაშმა გვიჩვენა, რომ დროდადრო ფეხითაც უნდა გვეთამაშა, უფრო ცოტა ენერგია დაიხარჯებოდა. ჩვენ 22-დან ხელით ვათამაშებდით ბურთს და პორტუგალიელები იქვე კლავდნენ ჩვენს შეტევას. ამიტომაც გაგვიჭირდა.

**— თამაშში ბევრი შეცდომა დაუშვით, არა?**

— ძალიან. თუნდაც მე არასწორად მოვიქეცი, როცა უაზროდ გავაგდებინე თავი მსაჯს. ამის გამო დავრჩით თოთხმეტნი თხუთმეტის წინააღმდეგ და უპირატესობაც დავკარგეთ.

**— მაინც რატომ გაგაგდეს?**

— ბავშვურად მოვიქეცი, პორტუგალიელ 9 ნომერს დავეჯახე და 10-მეტრიანი ზონა დავარღვიე.

**— ახლა ესპანეთზეც ვთქვათ, ასეთ სუსტ გუნდთან ფრე როგორ ითამაშეთ?**

— არ ვიცი, ყველაფერში ვჯობდით, კომბინაციას კარგად ვიწყებდით და ბოლოში ვ[illegible]რეოდით. ქარიც გვიშლიდა ხელს. მწვრთნელებმა ცოტა შეცვალეს ტაქტიკა და 10 ნომერს დაავალეს ფეხით თამაში.

**— ჩეხეთთან თამაშზე რას იტყვით?**

— ჩეხეთთანაც ჭარბად დავუშვით შეცდომები, უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო. ყველაზე ლამაზი თამაში კი მაინც პორტუგალიასთან გამოგვივიდა.

**— საერთოდ იმისი ბრალი ხომ არ იყო ამდენი მარცხი, რომ ნაკრებში ბევრი შეცვლა განხორციელდა?**

— არა მგონია. ხომ უნდა გამოიცადოს ყველა მოთამაშე. ჯობს, ახლა დაუშვას ნაკრებმა შეცდომები და არა უფრო მნიშვნელოვან თამაშებში. თანაც მომავალი წლიდან მსოფლიოს თასის შესარჩევი ციკლი იწყება.

**— როგორც ნაკრების ახალ მოთამაშეს, როგორ გგონია, როგორი გუნდი გვეყოლება სამ წელიწადში?**

— ჩემი აზრით, ძალიან კარგი თაობა მოდის, თუნდაც გორგოძე, ან სამხარაძე...

**— შევძლებთ მსოფლიოს თასზე გასვლას?**

— დარწმუნებული ვარ, რომ გავალთ, რადგან ყველა მორაგბის ოცნებაა, მსოფლიოს თასზე ითამაშოს. ამისთვის უნდა ვიშრომოთ და ვიწვალოთ, რათა წინა თაობის შედეგი გავიმეოროთ. ეგაა, კარგი იქნებოდა, უკეთესი პირობები გვქონოდა. ელემენტარულად სტადიონი არ არის. არ ვიცი, საქართველოს ჩემპიონატში რისთვის ვთამაშობთ, უბრალოდ, ქარს ვატანთ ჩვენს ენერგიას. იმის საშუალება მაინც რომ იყოს, რომ ტესტ-მატჩები გავმართოთ, კიდევ რა გვიჭირდა.

**— საერთოდ რითი ცხოვრობთ საქართველოში მორაგბეები?**

— მე პირადად ოჯახის დახმარებით. რა ვიცი, მომავლის იმედი მაქვს.

**— შენ „ლოკომოტივში" ხარ, ლოკომოტიველებისგან კი გამიგია — რაღაც ამ ბოლო დროს გვჩაგრავენო. რითი გჩაგრავენ?**

— უსამართლო კრიტიკით. ჩვენს ყველა კარგზე რაღაცას ამბობენ. ვერ ვხვდები, რას ერჩიან, გუნდს, რომელმაც მოიგო თასი და გახდა ჩემპიონი. ან თუნდაც მწვრთნელთან რა უნდათ?

**—კონკრეტულად ვის არ მოსწონს ბენდიაშვილი?**

— თუნდაც ჟურნალისტებს. რას ერჩოდა ერთი გაზეთის კორესპონდენტი, რომ თქვა, რაღა დროს ბენდიაშვილის რაგბის და „ლოკომოტივის" დროაო? ანდა საიტებზე რომ გვაქილიკებენ...

**— როგორ გესახება ქართული რაგბი ახლო მომავალში?**

— წინსვლა უდავოდ არის, თუმცა ამ წვალებით მოპოვებულს თუ არ მიეხედა, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით და მოედნებით, მაშინ არაფერი გვეშველება. მინდა, გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ზოგჯერ ბიჭებს ვარჯიშზე სასიარულო ფული არ გვაქვს. თუ სურთ შედეგები, მაშინ გაგვიფრთხილდნენ და მოგვიარონ. ჩვენც ვარჯიშით დავუმტკიცებთ, რომ კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეგვიძლია სამშობლოსთვის.

**ნინო ლეჟავა**



# ახალი შავი ლანდები

## ჭაბუკებმა ახალ ზელანდიასთან 12:81 წააგეს

**სამხრეთ აფრიკაში** ცხრამეტ წლამდე მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებმა ორი მარცხით დაიწყო. ლევან მაისაშვილის გუნდი პირველ შეხვედრაში ინგლისს დაუპირისპირდა და 9:48 წააგო. ინგლისელებმა 7 ლელო დაუდეს ჭაბუკ ქართველებს, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა კი „ყოჩების" დამრტყმელის თემურ სოხაძის 3 საჯარიმოთი უპასუხეს.

მეორე მეტოქე კიდევ უფრო სახელგანთქმული ახალი ზელანდია იყო. ეს მატჩი გუშინ გაიმართა და როგორც მოსალოდნელი იყო, წინა ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონების გამარჯვებით დასრულდა. ქართველებმა მხოლოდ საწყის წუთებში შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. შემდეგ კი „შავი მანქანა" დაიქოქა და ანგარიშმაც კატასტროფული სისწრაფით იწყო ზრდა. პირველ ტაიმში ზელანდიელებმა 43 ქულის გაკეთება მოასწრეს. ამას მეორეში 38-იც წაამატეს, ჯამში 12-ჯერ დაგვალელოვეს და ბოლოს 81:12 იმარჯვეს. მაისაშვილის გუნდიდან თავი ამჯერადაც სოხაძემ გამოიჩინა, ოთხი საჯარიმოთი.

ორი ტურის შემდეგ ბორჯღალოსნები სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფებიან. მათი მძლეველი ინგლისი და ახალი ზელანდია კი ასპროცენტიანი მაჩვენებლით ლიდერთა ოთხეულს ამაგრებენ. საქართველოს ნაკრები მორიგ შეხვედრას 4 აპრილს იაპონიასთან გამართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათენს ცეცხლი მოედო

## ოლიმპიური ჩირაღდანი გზას გაუდგა

გუშინ ათენში, ავეროფის სახელობის ანტიკურ მარმარილოს ოლიმპიურ სტადიონზე მიიტანეს ოლიმპიური ჩირაღდანი, რომელიც ერთი კვირის წინათ ოლიმპიაში დაინთო. მაშინ, საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღეს, ბერძენი მსახიობი ტალია პროკოპიოსი კიდევ ერთხელ მოგვევლინა ოლიმპიური ქურუმის როლში, როცა ოლიმპიური ცეცხლი დაანთო.




ოლიმპიაში ანთებული და ათენში სასოებით ჩატანილი ცეცხლი მალე მსოფლიოს მოედება

მანამდე იყო საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის კონსტანტინოს კარამანლისის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგისა და ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მეთაურის იოანა ანგელოპულოს-დასკალაკის სიტყვით გამოსვლები. ტრადიციისამებრ აჟღერდა ოლიმპიადის ორგანიზატორისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჰიმნები. იქ შეკრებილი 5 000 მაყურებელი მხურვალედ მიესალმა ცაში უამრავი მტრედის აფრენას, მერე კი პროკოპიოსმა ანტიკური ტრადიციისამებრ დაანთო აპოლონის წმინდა ცეცხლი, რისთვისაც მან მზეზე დამიზნებული პარაბოლური სარკე გამოიყენა. შემდეგ მან ოლიმპიური ჩირაღდანი გადასცა თავის თანამემამულეს, 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს შუბის ტყორცნაში კოსტას გაციუდისს, რომელმაც ჩირაღდანს 78-დღიანი ესტაფეტა დააწყებინა.

ჩირაღდნის ესტაფეტამ ოლიმპიიდან ათენამდე 365 კილომეტრი გამოიარა. წლევანდელი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში ცეცხლი მიიტანა სხვა ბერძენმა მძლეოსანმა, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა 100 და 200 მეტრზე რბენაში ეკატერინე ტანუმ.

ათენის ანტიკურ მარმარილოს ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც 1896 წელს თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა, ჩირაღდანი სპეციალურ საკურთხეველზე მოათავსეს, 3 ივნისს კი გადააფრენენ შორეულ სიდნეიში. იქ ოლიმპიურ ჩირაღდანს ჩაიბარებს ავსტრალიელი აბორიგენი, ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში კეტი ფრიმენი, რომელმაც 4 წლის წინათ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი ააგიზგიზა.

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ოლიმპიური ჩირაღდანი შემოივლის ხუთივე კონტინენტს და გაივლის 27 ქვეყნის 33 ქალაქს, მათ შორის, ყველა ოლიმპიურ დედაქალაქს, რომლებსაც თავის დროზე ამგვარი თამაშებისთვის უმასპინძლიათ.

ჩირაღდანი 9 ივლისს დაბრუნდება საბერძნეთში. სპორტსმენები ამის შემდეგ ჩირაღდანს საბერძნეთის მთელ ტერიტორიას შემოატარებენ, 13 აგვისტოს კი ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო დღეს მას შეიტანენ მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე და იქვე ააგიზგიზებენ ოლიმპიურ ცეცხლს.

ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში 11 ათასამდე კაცი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის იქნებიან სახელგანთქმული სპორტსმენები, მსახიობები, დიდგვაროვნები... ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებენ... სპილოებიც.

ამგვარად, ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთაგან ეს ბუმბერაზები, ცხენების მერე, გახდებიან მეორენი, რომლებსაც ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში გამოიყენებენ, ადამიანთაგან კი მეჩირაღდნეთა შორის იქნება მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკა, მონაკოს უფლისწული ალბერი, ჰოლივუდის ვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი და სხვა მრავალი.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



### ევროპის ქალთა ჩემპიონატი

დრეზდენი. 20 მარტი–4 აპრილი

# ჟუკოვამ ბათუმი გაიხსენა

## ქართველებმა დაიწონეს



მაია ლომინეიშვილმა ქართველებს პრესტიჟი შეუნარჩუნა

IX ტური

**ქეთევან არახამია-გრანტი** (საქართველო) — ნატალია ჟუკოვა (უკრაინა) 0:1, მარტა ზიელინსკა (პოლონეთი) — **ნანა ძაგნიძე** (საქართველო) 1:0, ემილია ჯინგაროვა (ბულგარეთი) — **ნინო ხურციძე** (საქართველო) 0:1, **მაია ლომინეიშვილი** (საქართველო) — ირინა ზაკურჟაევა (რუსეთი) 1:0

*მხოლოდ ქართველთა შედეგები*

ევროპის პირველი ჩემპიონი უკრაინელი ნატალია ჟუკოვა ქართველებთან მოგებას შეეჩვია და წინ სწორედ მათი წყალობით მიიწევს. მერვე ტურში უკრაინელმა ჯერ ლომინეიშვილს აართვა მსუყე ქულა, ხოლო IX-ში იგივე არახამია-გრანტთან გაიმეორა და ლიდერ ზაოგინ პენგს ნახევარ ქულამდე მიუახლოვდა. ქართველებთან თამაში და მოგება-წაგება კი ჟუკოვამ კარგა ხნის წინ შეისწავლა. შეგახსენებთ, რომ 2000 წელს იგი სწორედ ბათუმში გახდა ევროპის ჩემპიონი.

არასტაბილურად ასპარეზობენ ჩვენი მოჭადრაკეები. ჯერ კარგად დაიწყებენ, რაღაცის იმედს გაგვიჩენენ, შემდეგ კი მოულოდნელად წააგებენ და ნაწვალებს გადამთიელს გაატანენ. მერე ისევ თავიდან შეუდგებიან საქმეს და კვლავ იგივე მეორდება. ეს ყველაფერი ძველი და ახალი ცხრილების შედარებითაც შეგიძლიათ ნახოთ.

ჟუკოვასთან წაგების მიუხედავად ქართველთაგან ყველაზე უკეთესი შედეგი კვლავ არახამია-გრანტს აქვს და ჩემპიონობის მიზერულ შანსს კვლავაც ინარჩუნებს.

IX ტური ყველაზე წარმატებული ლომინეიშვილისთვის გამოდგა. ქართველმა ზაკურჯაევასთან შეხვედრა ლაზიერის გამბიტით დაიწყო და საკუთარ ტერიტორიაზე ფიგურების განვითარებას შეუდგა. მე-8 სვლაზე მაიამ წინ მხედარი გაუშვა და იერიში წამოიწყო, რომელიც გაცვლით თამაშში გადაიზარდა. შეტაკებებში ქართველმა იძალა, საკუთარი ეტლი მეტოქეს ლაზიერში დაუთმო და თეთრი დედოფალი მთელს დაფაზე გააბატონა. 42-ე სვლაზე ლომინეიშვილმა პაიკის გაყვანა დაიწყო და მისი კორტეჟი თვით ლაზიერმა იკისრა. შავი ეტლი რამდენიმე სვლა შეებრძოლა მოიერიშე თეთრ ფიგურებს და საკუთარ პაიკს წინაც კი გაუხსნა გზა, თუმც 49-ე სვლაზე წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდა და ფარ-ხმალი დაყარა.

გამარჯვებისთვის დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა ხურციძეს. ნინომ მხოლოდ 88-ე სვლაზე შეძლო ჯინგაროვასთვის ძვირფასი ქულისართმევა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | |
|---|---|
| 1(1) ზაოგინ პენგი (ჰოლანდია) | 7,5 ქულა |
| 2(8) ანტონეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) | 7 |
| 3(4) ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) | 7 |
| 4(2) ირინა სლავინა (რუსეთი) | 7 |
| 5(7) ნატალი ჟუკოვა (უკრაინა) | 7 |
| — — — | — |
| 10(5) ქეთევან არახამაია-გრანტი (საქართველო) | 6 |
| 12(20) მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 6 |
| 17(15) ნინო ხურციძე (საქართველო) | 6 |
| 22(10) ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 5,5 |

*ფრჩხილებში მოცემულია ადგილები წინა ტურში*

### ამბერის ტურნირი

მონტე-კარლო. 20 მარტი–1 აპრილი

# მოროზევიჩმა კრამნიკი გაქინა

რუსმა ალექსანდრ მოროზევიჩმა ბოლო სამ ტურში წყვილი გამარჯვებებით ლიდერ ვლადიმირ კრამნიკთან ნაკლული ქულები გაათანაბრა და IX ტურის შემდეგ პირველ ადგილზე აღზევდა. მოროზევიჩის წარმატება და კრამნიკის ჩავარდნა მათივე თანამემამულე ევგენი ბარეევის დამსახურებაა. ბარეევმა თვალხუჭუნა შეხვედრაში თეთრი ფიგურებით ქულა კი დაუთმო კრამნიკს, მაგრამ სწრაფში თავი გაიგიჟა და 77-ე სვლაზე მსოფლიოს ჩემპიონს დამარცხება აგემა.



ალექსანდრ მოროზევიჩი

მოროზევიჩმა ორივე დუელი ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს მოუგო. დიდი ხოცვა-ჟლეტა იყო თვალხუჭუნა შეხვედრაში, თუმც 29-ე სვლაზე მოროზევიჩი პაიკით დაწინაურდა და ამ უპირატესობით ათიოდე სვლაში იმარჯვა კიდეც. უფრო საინტერესო გამოდგა სწრაფი პარტია, რომელიც რუსმა e4-ით დაიწყო და ცენტრში მხედრები აფრინა. მეტოქეებმა დაფაზე მანევრირება დაიწყეს, ტოპალოვმა კი თანდათან ტემპს უმატა და მსუბუქი ფიგურები თეთრების ტერიტორიაზე გადასხა. შავი დესანტი რუსებმა იოლად მოიგერიეს და თეთრი დედოფალი მხედართან ერთად მეტოქის მეფის შესაპყრობად გაუშვეს. ბულგარელის ფიგურებმა რამდენიმე სვლა გაიბრძოლეს მოიერიშე მხედარ-ლაზიერზე, მაგრამ დედოფალი ცხენიდან ვერ ჩამოაგდეს და 32-ე სვლაზე დამარცხება აღიარეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

**საერთო ცხრილი**

| | |
|---|---|
| 1 ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 12 ქულა |
| 2 ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 12 |
| 3 ვასილ ივანჩუკი (ბულგარეთი) | 11 |
| 4 პეტერ ლეკო ( უნგრეთი) | 11 |
| 5 ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 10,5 |
| 6 პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 10 |
| 7 ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 10 |
| 8 ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 8 |
| 9 ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 7,5 |
| 10 ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 6,5 |
| 11 ბორის გელფანდი (ისრაელი) | 6 |
| 12 ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 3,5 |

# ბასკომპანია დაიშალა

## ბასკოსგან სახელიღა დარჩა




*მოსახდენი მოხდა — თბილისში დაწყებულმა „ვარდების რევოლუციამ“ ბათუმში მოგვიანებით ჩააღწია და სახელმწიფო სტრუქტურებისგან, კონკრეტულად კი აჭარის უშიშროების სამინისტროსგან დაფინანსებული საქართველოს სამგზის ჩემპიონი „ბასკო“ იმსხვერპლა. გუშინ წერტილი დაესვა მრავალდღიან ჭოჭმანს, ბათუმიდან ზარი მოვიდა, „ბასკოს“ ვეღარ დავაფინანსებთო და ჩემპიონატს ერთ-ერთი ამბიციური გუნდი გამოაკლდა... ან თავად ამ გუნდს მოაკლდა ამბიციები.*

*თავად ბათუმის საკალათბურთო კლუბი არ დაშლილა. უბრალოდ აჭარაში პოლიტიკური ამინდის გამოცვლამ შპს „ბასკოს“ ფინანსური დავთრები აურია და საკალათბურთო გუნდის პატრონობას ვეღარ კისრულობს. გუშინვე „ბასკოს“ თბილისელ მოთამაშეებს, რომლებიც გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ, კლუბის მესვეურებმა უთხრეს, ხელფასებს ვერ გავცემთ, თავისუფლები ხართ, თუ შევძლებთ, ახალი გუნდის პოვნაში დაგეხმარებითო.*

**ირაკლი ბერიშვილი,** „ბასკოს“ გამთამაშებელი: „სამწუხარო ფაქტი მოხდა, „ბასკო“ ძალიან კარგი და ძლიერი გუნდი იყო, მისი დაშლა საქართველოს ჩემპიონატისთვის დიდი დანაკლისი იქნება. სამწუხაროა, პოლიტიკამ რომ სპორტზე იქონია გავლენა, ჩვენს გუნდს ფინანსური არხები გადაეჭრა. ახლა არ ვიცი, რას ვიზამ, თუ ფედერაციამ სხვა გუნდებში გადანაწილების უფლება მოგვცა, ალბათ გამომიჩნდება მსურველი.“

**დავით ბერიშვილი,** „ბასკოს“ გამთამაშებელი: „იმედი მქონდა, რომ „ბასკო“ არ დაიშლებოდა და ჩემპიონატსაც მოვიგებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა, კლუბს ფინანსები აღარ აქვს. მე ძალიან მიყვარს „ბასკო“ და ბათუმელი რომ ვიყო, ეგებ ენთუზიაზმის ხარჯზეც მეთამაშა, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ გამოვა. იმედი მაქვს, „ბასკო“ საბოლოოდ არ დაიშლება და ჩემპიონატს დუბლიორებით, ბათუმელი კალათბურთელებით ჩაამთავრებს. მერე ალბათ სპონსორიც გამოჩნდება.“

**დავით ბერძენიშვილი,** „ბასკოს“ ცენტრი: „ვერაფერს გეტყვით, ნახევარი საათია, დამირეკეს და „ბასკოს“ დაშლის ამბავი მითხრეს. ჯერ ისევ აფორიაქებული ვართ. ვერც იმას გეტყვით, სად გავაგრძელებთ თამაშს, ეს ალბათ ხვალ-ზეგ გაირკვევა. „ბასკოს“ ხელმძღვანელობამ კლუბში შექმნილ ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით უკვე აცნობა ფედერაციას, რომელიც ვერდიქტს — მოიხსნება თუ არა „ბასკო“ ჩემპიონატიდან — პარასკევს გამგეობის სხდომაზე გამოიტანს.“

**მერაბ რატიშვილი,** კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი: „ბასკოს“ ხელმძღვანელობამ უკვე მოგვმართა სიტყვიერად, მათ ფინანსური პრობლემები აქვთ. ფედერაციამ გამგეობის სხდომა პარასკევისთვის მოიწვია, რომელსაც „ბასკოს“ ხელმძღვანელებიც დაესწრებიან. მოვისმენთ, რა სახის პრობლემები აქვთ, თავისას გვეტყვიან. ეგებ დუბლიორებით ჩაამთავრონ ჩემპიონატი. გამგეობას გამონაკლისიც შეუძლია დაუშვას და „ბასკოდან“ წასულ მოთამაშეებს სხვა კლუბებში გადანაწილების ნება დართოს. მოგეხსენებათ, სატრანსფერო ფანჯარა ახლა უკვე დახურულია, თუმც გამგეობას შეუძლია, სხვა გადაწყვეტილება მიიღოს. ყრილობათა შორის ეს ორგანო უმაღლესი კანონმდებელია ფედერაციაში.“

თავად „ბასკოს“ მესვეურებმა კომენტარებისგან თავი შეიკავეს. ისინი ახლა იმისთვის იღვწიან, რომ დუბლიორთა გუნდი მაინც შეინარჩუნონ. ბათუმელთა მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი მზადაა, დაბრუნდეს ბათუმში და ახალგაზრდული, ამბიციებისგან დაცლილი გუნდით გააგრძელოს ჩემპიონატში თამაში.

„ბასკოს“ პლეი ოფამდე 4 მატჩიღა აქვს გასამართი და მანამდე იმდენი მოუგია, ახლა თუ ყველა არ წააგო, რეგულარულ ჩემპიონატს მაინც პირველ ადგილზე დაასრულებს. თუმც მერე რაღას იზამს, ძნელი სათქმელია...

რაც შეეხება „ბასკოდან“ წასულ მოთამაშეებს, მათი სავარაუდო მსურველებიც გამოჩნდნენ. „დინამოს“ დავით ბერძენიშვილი სეზონის დაწყებამდეც სურდა, ახლა კი ალბათ მიზანს მიაღწევს. „დინამო“ უმიზნებს ასევე ირაკლი ბერიშვილს, რომელსაც ალბათ დღეს დაუკავშირდებიან დრაჟენ ბარიკოვიჩის გუნდიდან.

სხვებიც მონახავენ ალბათ სასურველ კლუბებს, თუმც ჯერ საამისო ნებართვა ფედერაციის გამგეობამ უნდა გასცეს. ხვალ საბოლოოდ გაირკვევა „ბასკოს“ ჩემპიონატში მონაწილეობის ბედი — ბათუმელები ან საბოლოოდ დაიშლებიან, ან დარჩებიან წასაგებად განწირულნი.

არსებობს ერთი ვარიანტიც და როგორც ფედერაციიდან გამოსული ხმები იუწყებიან, საბოლოოდ ალბათ ყველაფერი ასე მოხდება — გამგეობა ბასკოელებს არ მისცემს სხვა გუნდებში გადასვლის უფლებას, რითაც ამ მოთამაშეებისთვის ჩემიონატი ფაქტობრივად დასრულდება. ასეთ შემთხვევაში სავარაუდოა, კალათბურთელებმა ანაზღაურების გარეშე ისურვონ „ბასკოში“ თამაში და ეგებ ჩემპიონატს ბათუმური ხიბლი და ინტრიგაც შეუნარჩუნდეს.

**ირაკლი პერტაია**




ვის შეხვდება „ბასკოდან“ წამოსული დავით ბერძენიშვილი?

*ნიკოლოზ ცქიტიშვილისთვის სეზონი ფაქტობრივად დასრულდა. განამაწიაში მყოფმა „დენვერმა“ პლეი ოფში გასხლტომა რომც მოახერხოს, ძნელად სავარაუდოა, ახლახან დაშავებულთა სიაში ჩარიცხულ ქართველს მწვრთნელმა მოედანზე ხალიჩები დაუფინოს, მოდი, „სკიტა“, ითამაშე რამდენიც გინდაო. რომ არ ათამაშებდა და უქმად ეჯდა, ვეჭვობთ, სწორედ ამიტომ გადააბრძანა ჯეფ ბზდელიკმა გასულ კვირაში ცქიტიშვილი დაშავებულთა სიაში და არა მარცხენა მუხლის მსუბუქი ტრავმის გამო. „როკი მაუნთინის“ ამ სტატიაში ნიკას სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ მისი განაცხადიდან ამოწერის მთავარი მიზეზი უქმად ყოფნა იყო*

# დაწუნებული ინტელიგენტი

## ცქიტიშვილმა სეზონი დაასრულა

**აარონ ლოპესი**

„დენვერის“ განაცხადიდან დაშავებულთა სიაში გადასვლა გეოგრაფიულ ადგილმონაცვლეობაზე მეტი არ უნდა იყოს ნიკა ცქიტიშვილისთვის... სეზონის განმავლობაში შეზღუდული სათამაშო დროის მქონე ქართველი პრობლემას ამაში ვერ ხედავს და ადგილს უთმობს მის თანაამპლუელ კრის ანდერსენს.

შესაძლოა, ეს ცქიტიშვილისთვის სეზონის დასასრულს ნიშნავდეს. მას 5 მატჩის გამოტოვება მოუწევს, რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე კი ამაზე ბევრიც აღარ დარჩა.

„მე ვერანაირ განსხვავებას ვერ ვხედავ სკამზე უთამაშებლად ჯდომასა და ტრიბუნაზე პოპკორნის ჭამას შორის — ამბობს ცქიტიშვილი — ისედაც არ ვთამაშობდი, ასე რომ, ჩემს ცხოვრებაში ბევრიც არაფერი შეიცვლება.“

ცქიტიშვილი საშუალოდ 7,5 წუთში 2,6 ქულას აგროვებს ამ სეზონში. კრის ანდერსენს კი 14,6 წუთი მოედანზე ყოფნისას 3,5 ქულა, 4,2 მოხსნა და 1,6 დაფარება უგროვდება. 12 მარტს ანდერსენმა მუხლის ტრავმა მიიღო და დაშავებულთა სიაში შეიყვანეს, ახლა ის ნიკა ცქიტიშვილის ადგილს დაიკავებს „დენვერის“ განაცხადში.

„კრისს შეუძლია ჩვენი დახმარება — თანაგუნდელს აქებს „სკიტა“ — გუნდისთვის ის უფრო სასარგებლოა, ვიდრე მე.“

ექვსმატჩიანი იძულებითი უქმობის შემდეგ ანდერსენმა თამამად შემოაბიჯა მოედანზე — „მინესოტასთან“ 23 წუთში დენვერელთა შორის უმეტესი 9 ბურთი მოხსნა, ამათგან ზედიზედ სამჯერ მეტოქის ფარზე.

„მე ახლა უფრო დამუხტული ვარ — ამბობს ანდერსენი — დასვენება წამადგა, ძნელია 82 მატჩის ერთ დონეზე თამაში.“

ანდერსენი ნბა-ში მეორეა სათამაშო დროის მიხედვით მოგროვილ დაფარებებს შორის, როცა ცქიტიშვილის სტატისტიკა ბევრად უფერულია. ქართველს 34 საამსეზონო მატჩში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა. არადა, შარშანდელ სეზონში ცქიტიშვილმა 81 მატჩი ითამაშა. მაშინ „დენვერის“ ხელმძღვანელობას მოგებებზე მეტად ის სურდა, ახალგაზრდებს გამოცდილება მიეღოთ.

„დენვერის“ გენმენეჯერი კიკი ვანდევეიჯი შიშობს, რომ დაშავებულთა სიაში ჩასმამ შესაძლოა, ცქიტიშვილი საკუთარ ძალებში დააეჭვოს. კიკი აქედანვე ვარაუდობს, რომ ცქიტიშვილი შესაძლოა, არც მაშინ დაუბრუნდეს ძირითად შემადგენლობას, თუ „დენვერი“ პლეი ოფში გავა.

„მერე რა მოხდა. ვიქნები დაშავებულთა სიაში. ისინი მთელი სეზონი არ მათამაშებდნენ და რაღა პლეი ოფში შეიცვლიან აზრს“ — გულგატეხილია ცქიტიშვილი.

„სკიტა“ ძალიან ინტელიგენტი ადამიანია — ეს უკვე ბზდელიკის სიტყვებია — მან იცის, რომ მომავალი მისია და თავისუფალ დროს ჭკვიანურად გამოიყენებს, რათა საკუთარი თამაში დახვეწოს.“



ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ენტონიმ ტონს აუწია




კარმელო ენტონიმ „სიეტლს“ 41 ქულა დაატეხა

— 30 მარტი —

**დენვერი 124:119 სიეტლი**
დენვერი: ენტონი (41), ნენე (19), მილერი (14 ქულა, 16 პასი, 9 მოხსნა, 4 ჩაჭრა)
სიეტლი: ლუისი (26), ალენი (24), მიურეი (18)
*ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო*

**ლეიკერსი 107:88 ნიუ ორლეანი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (23), პეიტონი (20), ონილი (15), მელოუნი (11)
ნიუ ორლეანი: არმსტრონგი (13), ბრაუნი (13)

**მილუოკი 95:86 ინდიანა**
მილუოკი: სმიტი (25 ქულა, 14 მოხსნა, 4 დაფარება), კუკოჩი (13)
ინდიანა: ონილი (20), ანდერსონი (14)

**ფილადელფია 95:71 გოლდენ სტეიტი**
ფილადელფია: მაკკი (18), დალემბერტი (18 ქულა, 13 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: პიეტრუსი (19)

**დალასი 126:109 კლივლენდი**
დალასი: ნოვიცკი (35 ქულა, 18 მოხსნა), ნეში (31 ქულა, 10 პასი), ჰოვარდი (19)
კლივლენდი: ჯეიმსი (28), ილგაუსკასი (26), ბუზერი (23), ნეილონი (23)

სეზონის საუკეთესო ახალბედის ჩინი ვილას ახსოვს, როცა კარმელო ენტონის „დენვერ ნაგიტსს“ პლეი ოფის ბოლო საგზურს ხელიდან გლეჯენ მტერი გუნდები, „იუტა“ და „პორტლენდი“. „მთავარია, გამარჯვება“ — ეს დევიზი გამოუკრავს ყველა დენვერელს თავისი ცნობიერების დაფაზე, ხოლო ვინ რამდენს ჩააგდებს და რამდენად გამოიჩენს თავს, ეს უკვე სეზონის მერე დაითვლება.

„სიეტლთან“ ხვავქულიან თამაშში ენტონიმ 41 ქულა მოიხვეჭა და გაიმეორა მეორე სუპერბიჭუნა ლებრონ ჯეიმსის სეზონის რეკორდი ახალბედებისთვის. როცა ამ ორი ახალბედას ვაჟკაცობების დაჯამების ჟამი ჩამოჰკრავს, დამთვლელ კომისიას მჯობნის გამოსარჩევად დიდი თავისმტვრევა მოუწევს, იმდენად კარგია ორივე. თუმცალა ენტონის რჩეული ახალბედის მომლოდინე პრიზის ბედი ნაკლებად ანაღვლებს, მთავარია, მისმა კარგმა თამაშმა „დენვერს“ უმნიშვნელოვანესი მოგება ჩაუწერა და რეგულარული სეზონის დამთავრებამდე სამი კვირით ადრე, გადამწყვეტი შტურმისთვის ტყვიაწამალი შეუნარჩუნა. „დენვერს“, „იუტას“ დარად, წაგებებზე ორით მეტი გამარჯვება უგროვდება, თუმცა მას შვიდი თამაში დარჩენია, „იუტას“ კი — ცხრა. „პორტლენდი“ ოდნავ ჩამორჩება ამათ. ბევრს გადაწყვეტს საკალენდარო ნიუანსები. სამივე პრეტენდენტს საკმაოდ ძლიერ გუნდებთან ელით ჯახი, ასე რომ, სამივე კიდევ არაერთხელ წააგებს. აღსანიშნავია, რომ „დენვერს“ ორივე გუნდთან უპირატესობა აქვს ურთიერთშეხვედრებში, ასე რომ, თანაბარი მოგებების მოგროვების შემთხვევაში პლეი ოფში ის ხვდება.

ამასობაში კი არანაკლები ბრძოლის კერები აღმოცენდა აღმოსავლეთში არც ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდს“ უდგას იოლი დროება. ახლა „კავალერიამ“ ჯეიმსისგან 28 ქულის შეწევნის მიუხედავადაც დაიხია „დალასთან“ და კონფერენციაში მეცხრე პოზიციაზე გამაგრდა.

პლეი ოფში მოხვედრის იმედს „ფილადელფიაც“ ინარჩუნებს. მიუხედავად ალენ აივერსონის არყოფნისა — და აივერსონი მუხლის ტრავმის გამო სეზონის ბოლომდეც ვერ დაეხმარება თვისტომთ — „ფილადელფიამ“ მაინც მოიკრიბა ძალა და „გოლდენ სტეიტი“ ზურგზე დასცა.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 42 | 31 | 57,5 |
| მაიამი | 36 | 38 | 48,6 |
| ნიუ იორკი | 35 | 40 | 46,7 |
| ბოსტონი | 34 | 40 | 45,9 |
| ფილადელფია | 32 | 43 | 42,7 |
| ვაშინგტონი | 23 | 51 | 31,1 |
| ორლანდო | 19 | 56 | 25,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 54 | 20 | 73,0 |
| დეტროიტი | 47 | 27 | 63,5 |
| მილუოკი | 37 | 37 | 50,0 |
| ნიუ ორლეანი | 37 | 37 | 50,0 |
| კლივლენდი | 32 | 42 | 43,2 |
| ტორონტო | 30 | 43 | 41,1 |
| ატლანტა | 24 | 50 | 32,4 |
| ჩიკაგო | 20 | 54 | 27,0 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 51 | 24 | 68,0 |
| სან ანტონიო | 49 | 25 | 66,2 |
| მემფისი | 48 | 26 | 64,9 |
| დალასი | 46 | 28 | 62,2 |
| ჰიუსტონი | 42 | 31 | 57,5 |
| იუტა | 38 | 36 | 51,4 |
| დენვერი | 39 | 37 | 51,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 52 | 21 | 71,2 |
| ლეიკერსი | 51 | 23 | 68,9 |
| პორტლენდი | 37 | 36 | 50,7 |
| სიეტლი | 34 | 40 | 45,9 |
| გოლდენ სტეიტი | 32 | 41 | 43,8 |
| კლიპერსი | 27 | 48 | 36,0 |
| ფინიქსი | 26 | 49 | 34,7 |

*მთავრული შრიფტით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდები*

## ევროლიგა

**მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 31 მარტი**

**D ჯგუფი**
ოლიმპიაკოსი 68:70 ციბონა
ცსკა 84:82 ტაუ

**E ჯგუფი**
ოლიმპია 86:90 პო ორტეზი
სკიპერი 76:75 ეფესი





# აგასის ციტადელი დაეცა

**NASDAQ-100 OPEN**
მაიამი. მაგარსაფარი.
კაცები
საპრიზო 3,45 მილიონი $

**მეოთხე წრე**
**ენდი როდიკი (2, აშშ)** — გილერმო კანიასი (არგენტინა) 6:3, 6:3; **გილერმო კორია (3, არგენტინა)** — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 2:6, 7:5; **აგუსტინ კალიერი (20, არგენტინა)** — ანდრე აგასი (4, აშშ) 6:2, 7:6 (7:2); **ნიკოლას კიფერი (გერმანია)** — სებასტიან გროჟანი (12, საფრანგეთი) 6:4, 6:2; **ფერნანდო გონსალესი (21, ჩილე)** — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 7:6 (7:1), 4:6, 6:2; **ანდრეი პაველი (რუმინეთი)** — ტოდ მარტინი (აშშ) 7:6 (7:5), 7:6 (7:1)

ქალები
საპრიზო 3,06 მილიონი $

**მეოთხედფინალი**
**სერენა უილიამსი (1, აშშ)** — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:0, 6:1

აგუსტინ კალიერისთვის რომ მოეგო, 34 წელს მიტანებული ანდრე აგასი კარიერის მე-800 გამარჯვებას მიითვლიდა. ვაგლახ — ამ დიდოსტატური მიჯნის დალახვას ბევრი არმენოამერიკელი ახლა მორიგ ტურნირზე ეცდება. თუმცა იმ ნაღველს, რაიც მას გუშინდელი მარცხის შემდეგ დაეუფლა, ველარაფერი გაუქარვებს, რაკილა მაიამობა მისი უსაყვარლესი ტურნირთაგანია და სხვა თუ არაფერი, მუნ ექვსი მასტერსტიტული მოუნაგრავს.

ამ ექვსიდან — ეგებ მადლიერ მკითხველსაც ახსოვდეს — ნახევარი სწორედ წინა სამ სეზონზე მოდის. პლაჟისპირა მაგარსაფარზე წარმატებას სიჭარმაგეში შესული აგასისთვის თითქოს სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა — სანამ იქ წაუქცევლად იდგა, არაფერი უჭირდა, მართალია, ასაკოვანი იყო, მაგრამ დაჩაჩანაკებული მაინც არ ეთქმოდა. კალიერისთან მარცხის შემდეგ კი აქა-იქ შეიძლება უკვე იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ რვაგზის სლემტიტულოსნისა და ჯამში 58 ტიტულის მომხვეჭი ლასვეგასელის ვარსკვლავი მსწრაფლ უახლოვდება საჩოგნეთის დასალიერს.

არადა, მეორე სეტში აგასის ხუთი სეტპოინტი მიეცა და შემცბარი მეტოქის სუსტ მეორე მოწოდებას ხუთჯერვე მისთვის უჩვეულოდ, უნდილად რომ არ დახვედროდა, მატჩი ეგებ გადამწყვეტ სეტშიც გადაეყვანა. მაგრამ დადარაჯებულ სკეპტიკოსებს სათქმელი სწორედ იმით გაუჩინა, რომ საჭირო მომენტში საჭირო სიმშვიდე და სიბასრე ველარ მოიძია და სათულფე ტურნირს აგრე ნაადრევად გამოეთიშა.

ერთი ვინმემ მითხრას, დღეს ასე ჩუბინად რატომ უბრახუნებდაო, ჰკვირობდა მეტოქის რიგიან თამაშს აგასი. და არც გაემტყუნებოდა, რაკილა 27 წლის არგენტინელი, ვისაც ინდიანუელსობის მეოთხე წრეში ირაკლი ლაბაძემ სამ სეტში აჯობა, გუშინ მართლაც საუცხოოდ ირჯებოდა. მართალია, მოწოდებით კარგად ვერ აწვდიდა, მაგრამ უკანა ხაზიდან შეუვალი და უცდომელი იყო და ჯამშიც 47 ქულიანი დარტყმა დააგროვა.

ვინგინდავინ ზეათეულელი მაგარსაფარზე მას აქამდე მხოლოდ ერთხელ დაემარცხებინა და ბუნებრივია, იმის დარად ეს მოგებაც კარიერის ერთ-ერთ საუკეთესოდ რომ შერაცხა.

სხვაფრივ: ბეწვზე გადაურჩა მარცხს მესამე ნომრად განთესილი გილერმო კორია. მკვირცხლი გაუჩო მესამე სეტში 2:5 აგებდა უსახელო ფრანგ კვალიფიკანტ ჟულიან ბენეტოსთან, მაგრამ შემდეგ აჩოგნავდა და ხუთგეიმიანი მიჯრით მეოთხედფინალში შეინავარდა.

თავის ჩვეულ ფორმას დაუბრუნდასავით ოდინდელი ზეათეულელი ნიკოლას კიფერი, ვინაც სწორედ კორიასთან დასაპირისპირებლად მეთორმეტე ნომრად განთესილი სებასტიან გროჟანი დაიმორჩილა. თმაშევერცხლილმა ტოდ მარტინმა ორმოცი უნებლიე შეცდომა დაუშვა და ორტაიბრეიკიან ხათქა-ხუთქში რუმინელ ანდრეი პაველს დაუთმო. რაც შეეხება ტურნირიდან როჯერ ფედერერის გამგდებ 17 წლის რაფაელ ნადალს, მისი მზარდი ამბიციები ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა დააოკა. ხოლო ენდი როდიკმა საათზე ნაკლები დრო მოანდომა არგენტინელი გილერმო კანიასის გაჩოგვნას.

საქალებოში კი გუშინ მხოლოდ სერენას ბენეფისი იყო — განუთესავ თვისტომ ჯილ კრეიბასს მან ერთ გეიმზე მეტი არ დაუთმო და საერთოდაც ისეთი ბარაქიანად ბუღრაობდა, მისი ნახვა ერთ რამედ ღირდა. შეგახსენებთ, რომ ის ორგზის ტიტულდამცველია და კი ბისკეინში უკვე ზედიზედ თექვსმეტ შეხვედრაში უმარჯვია.

**ლევან ქელაურაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

— 30 მარტი —

**სენტ ლუისი 1:0 ედმონტონი**
*1:0 0:0 0:0*
1:0 უეიტი (14)

ეს ალბათ ბედისწერაა. სულ რაღაც ერთმა კინკილა გოლმა იქნებ „ედმონტონის“ მთელი ძალისხმევა წყალს გაატანოს. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ვერავინ წარმოიდგინა, რომ „მეავთობეები“ პლეი ოფისთვის ბრძოლაში ჩაებმებოდნენ. თუმც მარტში მათ საოცარი ტემპი აიღეს და ოცნება რეალურად აქციეს. ბოლო 16 თამაშში „ედმონტონს“ ძირითად დროში მატჩი არ წაუგია, მაგრამ... სწორედ გადამწყვეტ მომენტში დამარცხდა. თან მათთვის კიდევ უფრო დასანანია, რომ ეს წყენა ყოფილმა ედმონტონელმა, ახლა კი „სენტ ლუისის“ ლიდერმა დუგ უეიტმა მიაყენათ, რომელსაც ბოლო 17 მატჩში გოლი არ გაეტანა. მან მეტოქეთა პირველივე ჯარიმა გამოიყენა და, მიუხედავად ორივე გუნდის მცდელობისა, ანგარიში აღარც შეცვლილა.

„ედმონტონის“ ბედი ახლა სხვაზეა დამოკიდებული. „მენავთობეთა“ სამწუხაროდ, სამშაბათს „ნეშვილმაც“ მოიგო, თუმც ერთი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული. ამჟამად ამ ორი გუნდის ქულათა რაოდენობა თანაბარია. სამაგიეროდ, „სენტ ლუისმა“ პრაქტიკულად დაიბევა პლეი ოფი. საამისოდ „ბლუზმენებს“ სამ მატჩში ერთი მოიგებაც ყოფნით.

**კაროლინა 2:3 ბოსტონი**
*1:1 0:1 1:1*
1:0 ბაიდა (7), 1:1 ლაპოინტი (13), 1:2 სამსონოვი (25), 1:3 ტორნტონი (43), 2:3 ვასიჩუკი (48)

**ვაშინგტონი 4:2 პიტსბურგი**
*2:1 2:1 0:0*
1:0 ჰელპერნი (4), 2:0 სიონი (20), 251 ტარნსტრიომი (20), 3:1 უიტფილდი (21), 4:1 უიტფილდი (25), 4:2 ჯეკმენი (39)

**ნიუ ჯერსი 5:0 რეინჯერსი**
*0:0 3:0 2:0*
1:0 გომესი (27), 2:0 რასმუსენი (32), 3:0 გომესი (38), 4:0 ლარიონოკო (45), 5:0 (51)

**ნეშველი 5:2 ჩიკაგო**
*2:0 2:1 1:1*
1:0 ორზაგი (1), 2:0 ერატი (17), 3:0 ლეგვანდი (32), 4:0 ჰოლი (38), 4:1 რუუტუ (39), 5:1 უოკერი (55), 5:2 რუუტუ (60)

# ძველი ხერხი

კუბის სამოყვარულო კრივი საუკეთესოა მსოფლიოში. მოახლოებულ ოლიმპიადაზე კუბელები თერთმეტ საკრივო ოქროს მედალს გეგმავენ. ვარჯიში კი ოდნავ ძველმოდურია. „ორბეინ კესადას“ საკრივო სკოლაში მოკრივე რგინის ჯოხსა სცემს ძველ საბურავებს.



REUTERS ჰავანიდან




REUTERS დუბაიდან

# ზაფირი

დუბაი კვლავ ცხენოსნობით ცხოვრობს. აქაური სადოლე დღეები და მსოფლიოში უდიდესი საპრიზო ფონდი თავად ამბობს სათქმელს. საცხენოსნო ჩემპიონატის ერთ-ერთი ლამაზი მონაწილეა თეთრი „ზაფირი“, რომლის პატრონიც შეიხ ჰამადან ბინ რაშიდ ალ მაკთუმი „კლას 18“-ის ჩამოტარებაზე თავად გამოუძღვა ცხენს.

# ბრუკი ათენისკენ

ალტაცებულია ბრუკი ჰადსონი, რომელსაც ორას მეტრზე ავსტრალიის სანაკრებო-საკვალიფიკაციო შეჯიბრი მოუგია და ათენის საგზური ჯიბეში უდევს. ავსტრალიის შიდა საკვალიფიკაციო შეჯიბრის მთავარი სკანდალი კი ყველაფრის ჩემპიონ იან ტორპის მიერ 400 მეტრზე ცურვის ლიცენზიის ვერმიღება იყო. თუმცა, ტორპმა მშვენივრად მიიღო 200 მეტრზე გამოსვლის უფლება.



REUTERS სიდნეიდან




REUTERS ტოკიოდან

# ტოკიოს ტყორცნები

ტოკიოში ერთი ამბით ჩატარდა მეიჯორ ლიგის ბეისბოლის ამერიკული სეზონის გახსნა. იქაურ „დოუმში“ ერთმანეთს შეხვდნენ ნიუ იორკის იანკები და ტამპა ბეის ეშმაკის სხივები. თამაშის პირველი ტყორცნები კი იაპონიის პრემიერმა იუნიჩირო კოიძუმიმ და ნიუ იორკის ყოფილმა მერმა, რუდოლფ ჯულიანიმ მოახდინეს.




REUTERS ტრომსოდან

# დაკიდული

გაზაფხული კი მოვიდა, მაგრამ განა ნორვეგიაში ოდესმე გადნება თოვლი? სნოუბორდის ოსტატთა სამოთხეში არქტიკის ჩიბუხა გზების ტესტი გახურებულა და ამერიკელი მეისონ აგირეც ამიტომ დაკიდულა ჰაერში. შეჯიბრი კი ტრომსოში მიმდინარეობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge